საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვერი სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიარებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკარისიბებზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 5 აპრილი. 2016 წ. №62 (7954), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

აზერბაიჯანელო და სომეხო ძმებო, ნუ აჰყვებით... პროვოკაციას!

ვლადიმერ პუტინი: სომხეთმა და აზერბაიჯანმა სასწრაფოდ უნდა შეწყვიტონ დაპირისპირება!

რეჯეპ ტაიპ ერდოღანი: თურქეთი ყოველთვის მხარს დაუჭერს აზერბაიჯანს!..

გიორგი კვირიკაშვილი: საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით იქნებ მოხერხდეს სიტუაციის დეესკალაცია!

შევინარჩუნოთ სიმშვიდე კავკასიაში! 4-5

პუტინმა და ლავროვმა ჭკუა ისწავლეს თუ... ისევ გვატყუებენ?

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, მოსკოვი მომხრეა, რომ დნესტრისპირეთი მოლდოვის შემადგენლობაში შენარჩუნდეს.

РИА Новости-ს ინფორმაციით, მინისტრმა აღნიშნა, რომ დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებისთვის „5+2“ ფორმატის მუშაობას მხარს უჭერს.

„ყველა თანახმა ვართ, რომ პატარა, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯების საფუძველზე ამ მექანიზმის სიცოცხლისუნარიანობის აღდგენა მოხდეს და გადავიდეთ მარტივი საკითხებიდან გაცილებით რთული საკითხების მოგვარებისკენ, მათ შორის დნესტრისპირეთის საბოლოო სტატუსის განსაზღვრისკენ, ერთიანი, განუყოფელი და ნეიტრალური მოლდოვის შემადგენლობაში“, – განაცხადა ლავროვმა მოლდოველ კოლეგასთან ანდრეი გალბურთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

ცნობისთვის, დნესტრისპირეთი არის არაღიარებული რესპუბლიკა, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მოლდოვის ნაწილად არის მიჩნეული.

პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც ჯერ კიდევ 1989 წელს დაიწყო, მოლდოვეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უფრო გამწვავდა.

The Beatles VS ქართული ოცნება, ანუ ოქტომბერიც მალე მოვა...

იხ. 3 გვ.

დოულის დასავლური საპატიმროს დოუნანას აკომპანემენტით, ანუ დოულის პოლიტიკური კარიერა შესაძლოა, საპატიმროსთან ბინძურ გარიგებებს შეეწიროს! 8

გაზაფხულზე თბილისის მერიასა და საკრებულოში ყინული გალღვა!.. 6

გენმოდიფიცირებული, კონსერვანტებიანი პროდუქტები, რომლებიც სხვადასხვა დაავადებას, მათ შორის სიმსივნესაც იწვევენ 7

მთაწმინდაზე ამაღლების ღირსი... 9

ფორუმის წევრებს იქნებ რესპუბლიკელებმაც მიბაძონ...

ფრაქცია „ეროვნული ფორუმი“ საპარლამენტო უმრავლესობას ტოვებს. ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე პარტიის ლიდერმა კახა შარტავამ განაცხადა. მისივე თქმით, ეროვნულმა ფორუმმა ყველა ვალდებულება შეასრულა.

„პარტიის პოლიტიკური საბჭო, ფრაქცია და წარმომადგენლები ადგილობრივ თვითმმართველობებში შეუწყობენ ხელს არსებული ხელისუფლების სტაბილურობას მომავალ არჩევნებამდე“, — განაცხადა შარტავამ. გარდა ამისა, ეროვნული ფორუმის წევრები პარლამენტში თანამდებობებს ტოვებენ.

„მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, ეროვნული ფორუმი ტოვებს საპარლამენტო უმრავლესობას, შესაბამისად, მე ვტოვებ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტს. ჩემთან ერთად ტოვებენ თანამდებობებს შესაბამის კომიტეტებში მოადგილეების პოსტებზე მყოფი პირები — შალვა კიკნაველიძე, ანი მიროტაძე და თემურ მაისურაძე“, — განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გუბაზ სანიკიძემ.

„ეროვნული ფორუმი“ არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას. სარჩევნო სიის პირველ ნომრად პარტიის ლიდერი კახა შარტავა იქნება. ამასთანავე, საპარლამენტო ფრაქციას „ქართული ოცნება — ეროვნული ფორუმი“ სახელი შეეცვლება და ფრაქცია „ეროვნული ფორუმი“ დაერქმევა.

პრემიერს გადადგომის ვალდებულება არ ექნება

პარლამენტის წევრობის კანდიდატობის შემთხვევაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრს წინასაარჩევნოდ თანამდებობიდან გადადგომის ვალდებულება არ ექნება, — ამას „საარჩევნო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ „საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის

შესახებ შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მეორე დღისა, პრემიერ-მინისტრი დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგეს, რაც არ შეესაბამება დემოკრატიული ქვეყნების ტრადიციას. პრემიერ-მინისტრი, როგორც წესი, არჩევნებში გამარჯვებული პარტიის, საარჩევნო ბლოკის ან მმართველი კოალიციის პოლიტიკური ლიდერია და ახალ საპარლამენტო არჩევნებში შესაბამის საარჩევნო სუბიექტს წარუძღვება. პრემიერ-მინისტრის მონაწილეობა საყოველთაოდ დაშვებული და გავრცელებული მოვლენაა. გარდა ამისა, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის პრემიერ-მინისტრის სავალდებულო გადადგომა გამოიწვევს მთავრობის გადადგომას და მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირების აუცილებლობას. ასეთი ვითარება და საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ახალი მთავრობის ფორმირება, რომელიც შესაძლოა, ორი თვის შემდეგ მთლიანად შეიცვალოს, კონსტიტუციური სისტემის სტაბილურობის სახელმწიფოებრივ ინტერესს არანაირად არ შეესაბამება“.

ცვლილებების ავტორები პარლამენტის წევრები — გიორგი ვოლსკი, ზვიად ძიძიგური და ვახტანგ ხმალაძე არიან, ხოლო ინიციატორები — ზვიად კვაჭანტირაძე და ვახტანგ ხმალაძე.

◎ ეროვნული ვალუტა

ყალბი ფული... ბანკომატებში?!

მაფიის საცეცები ყველგან აღწევს!

იმის მიუხედავად, რომ ლარის ახალ ბანკნოტებს საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული უამრავი დამცავი ნიშანი აქვთ, მათ მიმართ პრეტენზიები არ კლებულობს. ერთნი ლარის ახალ კუპიურაზე ტერმინ „საქართველოს“ აღნიშვნას მოითხოვენ, მეორენი იწუნებენ ბოლო დროს დამკვიდრებულ არასწორ მიდგომას, რომ ფულზე მაინცდამაინც წმინდანების გამოსახულებაა დატანილი, სხვები კი ახალ ლარს სხვა „ცოდვაშიც“ ამხელენ და ირწმუნებიან, რომ ახალი ბანკნოტები ადვილად ყალბდება.

ყალბი 20 და 50-ლარიანები უკვე აღმოაჩინეს კახეთში, გურიასა და თბილისში. იმის გამო, რომ განახლებული ბანკნოტები მიმოქცევაში სულ ახლახან შევიდა, მომხმარებელს მათი გარჩევა უჭირს და სრულიად მარტივია, ნამდვილის ნაცვლად, გაყალბებული შეაჩეჩონ.

ცოტა ხნის წინათ, თელავის რაიონულმა სასამართლომ ყალბი ფულის გასაღების ბრალდებით რამდენიმე პირი დააკავა. პარალელურად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა იგივე ბრალდებით ორი პირი დააკავა და ამოღებული კუპიურების ოდენობამ, საერთო ჯამში, 1040 ლარი შეადგინა. აღმოჩნდა, რომ ყალბი კუპიურები საკუთარ საცხოვრებელ სახლებში ლაზერიან უცხოური წარმოების სპეციალური აპარატით დაამზადეს.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში პაატა არაშიძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ფულის გაყალბება ნებისმიერ ეპოქაში იყო შესაძლებელი, იმის მიუხედავად, რომ ყველა ფულს თავისი დამცავი ნიშანი აქვს და ქართული ეროვნული ვალუტის დამცავი ნიშნებიც არაფრით ჩამოუვარდება წამყვანი ქვეყნების ვალუტის დამცავ ნიშნებს.

რაც შეეხება უკანასკნელ პერიოდში ბანკომატებში აღმოჩენილ ყალბ კუპიურას, პაატა არაშიძე თვლის, რომ ეს არ გამოირიცხება, თუმცა ძალზე რთული დასაჯერებელია, რადგან ბანკომატებს აქვთ განმასხვავებელი ნიშნების აღმოჩენის შესაძლებლობა და იმის უნარი, რომ პირდაპირ ე.წ. შავ ყუთში გადააგდონ ყალბი კუპიურა.

„ხარისხითა და მხატვრული ღირებულებით ქართული ლარი მსოფლიოს ყველა ვალუტისაგან ყოველთვის გამოირჩეოდა, მაგრამ ვალუტის ეს სახეები, გარდა ოცლარიანისა, არ გამოირჩევა არანაირი მხატვრული ღირებულებებით. პირადად ჩემთვის ახალი 50-ლარიანი არ არის ისეთი კარგი, როგორიც ძველი 50-ლარიანი. ეს გემოვნების ამბავია, მთავარია, ამ ლარის მსყიდველობითი უნარი. ადრე ლარი იბეჭდებოდა ფრანგულ ქაღალდზე, ახლა უკვე საქართველოში იბეჭდება. რაც შეეხება კუპონს, ის თავდაპირველად უცხოეთში

იბეჭდებოდა, შემდგომ — საქართველოშიც დაიბეჭდა, თუმცა იმ პერიოდში ვის რაში სჭირდებოდა კუპონის გაყალბება?! ასე რომ, რაგინდ მაღალი დონის დაცვის მექანიზმები არ უნდა ჰქონდეს ახალ ბანკნოტებს, მათი გაყალბების რისკი მაინც არსებობს, ვინაიდან მომხმარებლის თვალი და ხელი შეუჩვეველია ახალ კუპიურას. ჩვენთან ახლა სამი კუპიურის (ოცის, ორმოცდაათიანისა და ასლარიანის) ჩანაცვლება განხორციელდა, რამაც ყალბისმქმნელებს გაუხსნა გზა გარკვეულ ეტაპზე გაყალბებისთვის, მაგრამ მე ვფიქრობ, სამართალდამცველები და თვითონ ეროვნული ბანკიც, მაქსიმალურად შეეცდებიან, მონახონ გზები ამისგან დასაცავად. უწინარესად, ეროვნული ბანკის ოფიციალურ სტრუქტურებში ყალბი კუპიურები ძალზე ცოტა რაოდენობით უნდა მოხვდეს. თვითონ ეროვნული ბანკის კანონი ავალდებულებს ბანკს, მათთან მოხვედრილი ყალბი ვალუტა პირდაპირ ამოიღოს მიმოქცევიდან. ამიტომ დაუჯერებელია, რომ ეს სადღაც გადავიდა რომელიღაც ბანკის ბანკომატში. რთულია ამის გაკეთება, თუ არ არსებობს კავშირი ფულის გამყალბებელსა და ოპერატორს შორის, რადგან ეს ყალბი კუპიურა გაივლის რამდენიმე ოპერატორის ხელში და, წარმოიდგინეთ, რამხელა მაფია უნდა იყოს ჩათრეული, რომ ყალბი ფული აღმოჩნდეს ბანკომატში. ეს პრაქტიკულად შეუძლებელია“, — აღნიშნა პაატა არაშიძემ.

რაც შეეხება სუპერმარკეტებსა და სხვა სავაჭრო ობიექტებში ყალბი ვალუტების სამომავლო გამოჩენის ფაქტებს, ამას ექსპერტი სრულიად დასაშვებად მიიჩნევს, განსხვავებით, ბანკომატისგან.

მამა დავით ქვლივიძე For.ge-სთან საუბარში კუპიურის გაყალბებაზე მეტად იმას აქცევს ყურადღებას, რომ, ზოგადად, ბანკნოტებზე წმინდანების გამოსახვა არ შეიძლება და ამ საკითხის მიმართ ანალოგიურად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ეკლესიასაც.

„წმინდანები ჩვენი ხატია, ჩვენ მათზე ვლოცულობთ და არ შეიძლება, ისინი ფულზე იყვნენ ასახულნი. არა მხოლოდ ფულის ბანკნოტებზე, არამედ დაუშვებელია ისიც, რომ აქციზებზე ჯვარი და საქართველოს დროშაა გამოსახული და ხან რომელ სანაგვეში ყრიან აქციზური მარკების გამოსახულებიან საგნებს, ხან — რომელში. საქართველოს გარდა, არსად ბანკნოტებზე მე არ შემხვედრია წმინდანების სახეები“, — გვითხრა მამა დავითმა.

ექსპერტი მიხეილ ჯიბუტი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ მისთვის მთავარი პრობლემაა, რომ ახალ ბანკნოტებზე სახელმწიფოს სახელი — „საქართველო“ არ არის დატანილი. ამიტომ, სანამ გვიან არ არის, უნდა ჩასწორდეს 100-ლარიანისა და სხვა ნომინალების მატრიცები.

ამასთან, პრობლემაა ისიც, რომ აქამდე ფულის ერთეულზე ხელს ყოველთვის აწერდა ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტრო, ახლა კი მხოლოდ ეროვნული ბანკი აწერს ხელს.

ცნობისთვის, ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ლარის განახლებულ ბანკნოტებზე გამოყენებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დაცვის მექანიზმები. მასზე დატანილია შემდეგი სახის დამცავი ნიშნები: წყლის ნიშანი, ვერტიკალური დამცავი ძაფი, ჰოლოგრამა, ფარული გამოსახულება, ხილული ბოჭკოები, თანმხვედრი გამოსახულება, რელიეფური ბეჭდვა, ნიშანი სუსტი მხედველობის ადამიანებისათვის, ოპტიკურად ცვალებადი საღებავი, ირისისებური დაცვა.

მანანა ნოზაძე

ნატო-საქართველოს წვრთნის პროექტით პირველი სწავლება დაიწყო

ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) პირველი სამხედრო სწავლება დაიწყო. სწავლების გახსნის ცერემონიალს ნორვეგიის თავდაცვის უნივერსიტეტის კომენდანტი, ზურგის ადმირალი ლუიზ დედიქენი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ნიკოლოზ აგლაძე დაესწრნენ. სწავლება 14 აპრილამდე, ვაზიანში ჩატარდება. ღონისძიება ნატო-საქართველოს ერთობლივი ცენტრისა და ნორვეგიის თავდაცვის საერთაშორისო ცენტრის მიერ ხორციელდება, — იტყობინება საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

ნატოს ლოჯისტიკის 10-დღიანი კურსი საქართველოში პირველად ტარდება და მასში 15 ქართველი და 8 უკრაინელი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს. სწავლების მიზანი ნატოსა და პარტნიორ სახელმწიფოებს შორის თავსებადობის ზრდაა. კურსი ასევე შეუწყობს ხელს უკრაინასა და საქართველოში ლოგისტიკის სწავლების შესაძლებლობებისა და თანამშრომლობის გაღრმავებას.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე ნორვეგიის თავდაცვის უნივერსიტეტის კომენდანტს, კონტრადმირალ ლუიზ დედიქენს შეხვდა.

მხარეებმა თანამშრომლობისა და რეგიონის უსაფრთხოების საკითხები განიხილეს. ასევე ისაუბრეს საქართველოს ლოჯისტიკური მიმართულების განვითარების მხარდაჭერაზე.

შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის სამომავლო გეგმებიც განიხილეს. „ჩვენ ვისაუბრეთ იმ შესანიშნავ თანამშრომლობაზე, რომელიც საქართველოსა და ნორვეგიას აკავშირებს. შეხვედრაზე სამომავლო თანამშრომლობის გეგმებთან დაკავშირებით ახალი იდეებიც დაიბადა, როგორიცაა, მაგალითად, აკადემიურ სფეროში თანამშრომლობა და გაცვლითი სასწავლო ვიზიტები“, — განაცხადა კონტრადმირალმა.

ლუიზ დედიქენი ნორვეგიაში პირველი ქალია, რომელსაც ადმირალის წოდება მიენიჭა.

The Beatles VS ქართული ოცნება,

ანუ ოქტომბერიც მალე მოვა...

დარწმუნებული ვარ, ყველასთვის საყვარელი The Beatles (ბითლზების) დაშლას არ გამოუწვევია ამდენი ვნებათაღელვა, რამდენიც კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლამ გამოიწვია.

საოცარია, მაგრამ ამ ე.წ. „პოლიტიკურმა წარმონაქმნმა“ მაქსიმალურად რეკორდული დრო გაძლო და აი, საბოლოოდ დაიშალა.

ბევრი მოსაზრება გამოითქვა, ბევრს კიდევ ველოდებით, მაგრამ არც ერთ „პოლიტიკანს“, არც ერთ ე.წ. ექსპერტს და არც ერთ „კულუარებში გაჩითულ ტიპს“ არ უთქვამს არც კოალიციის არსებობის და არც მისი დაშლის ნამდვილი მიზეზი.

„სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს!“ ამბობდნენ ქართველები და, მართლაც, კოალიცია სწორედ იქ გაწყდა, სადაც „ვიწრო“ იყო.

რატომღაც ისმის ფრაზები, რომ თითქოს რესპუბლიკელებმა „ყველას დაასწრეს“ და პირველებმა გამოაცხადეს, რომ ისინი დამოუკიდებლად მიიღებენ მომავალ არჩევნებში მონაწილეობას.

„მა თავისუფალი დემოკრატები“? ეგენი არ იყვნენ პირველები?

საოცარია, მაგრამ „თავისუფალი დემოკრატების“ დემარში „არ ჩხრიალებს“ და რეპუბლიკელების „ბამბა გრუხუნებს“!

ამ ფართომასშტაბურ დაშლას კი წინ ე.წ. პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერები უძღოდა.

საკმაოდ უცნაური იყო საზოგადოების რეაქცია.

გავრცელდა ფარული ჩანაწერები მაღალი თანამდებობის პოლიტიკოსებზე და ინფორმაცია, რომ მსგავსი სახის ვიდეო, თუ აუდიომასალა კიდევ ბევრია. იმის ნაცვლად, რომ საზოგადოება აღშფოთებულიყო და არა მარტო კონკრეტული პირების წასვლა მოეთხოვა პოლიტიკიდან, მთელმა ე.წ. „მორალური ტერორის“ პროცესმა დისკრედიტებული „არასამთავრობოების“ და გაურკვეველი „ექსპერტების“ აღშფოთების და ხალხის დაცინვის თანხლებით ჩაიარა.

მე პირადად ვერ ვხსნი მოვლენების ასეთ განვითარებას, ამიტომ რამდენიმე მოსაზრება გამიჩნდა:

1. საზოგადოება ინერტულია და ფეხებზე ჰკიდია პოლიტიკოსების მორალური სახე.

2. „პროტესტანტები“ იმდენად არაპოპულარულები არიან, რომ საზოგადოების აღშფოთების პროცესი საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა.

3. საქართველოში მსგავსი თემები არ მუშაობს.

ნამდვილად საშინელებაა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნება, მაგრამ უფრო ამაზრზენია ის, რომ ე.წ. „ცნობადი სახეები“, დაწყებული პრეზიდენტიდან გაგრძელებული მავანით და მავანით, თავიანთი „მამაცური აღიარებებით“ ცდილობენ ე.წ. „მაღალ კასტაში“ გარევას. „სექსი მაქვს, მქონდა და მექნება!“ — მერე რა? არავის გადაუღუნო! სექსი ყველას აქვს, ჰქონდა და ექნება! ყველა ვჭამთ საჭმელს, ვსვამთ და გვძინავს. რა არის ამაში განსაკუთრებული „სიმამაცე“?

აი ეს არის აზროვნების ის სიმწირე, რომელიც, საუბედუროდ, ადამიანთა მცირე რაოდენობისგან იფრქვევა უმრავლესობის გარშემო. აზროვნების ის სიმწირე, რომელსაც უნდა დავუპირისპირდეთ უწინარესად!

ზუსტად ანალოგიური აზროვნების სიმწირეა იმ განცხადებებში, რომლებსაც რესპუბლიკელების მიმართ ეს ე.წ. ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის „წარმომადგენლები“ ამბობენ.

მათი განცხადებით, რესპუბლიკელები კოალიციაში ე.წ. დასავლური ღირებულებების მატარებელი ერთადერთი პარტია იყო.

არადა, რესპუბლიკური პარტიის მიერ შექმნილი მითი, რომ ისინი არიან დასავლური ღირებულებების მატარებელი და დამცველი ერთადერთი ძალა, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ დასავლეთთან ურთიერთობების დალაგება, კარგა ხანია, დაიმსხვრა. გაგიკვირდებათ და ეს მითი კანდელაკმა და ჩიორამ კარგა ხანია, ევროსაბჭოს იმ რეზოლუციებით გააცამტვერეს, რომლებიც პირდაპირ საქართველოს წინააღმდეგ იქნა მიღებული. ძალიან ადვილი დასანახია, რომ ამ პოლიტიკური ძალის დასავლეთთან ურთიერთობა ნაციონალური მოძრაობის მესამე, თუ მეოთხე რგოლების ურთიერთობების ტოლფასია.

ჩიორა და კანდელაკი რომ გაჯობებენ ჰომეროსის მთარგმნელს, წესით ქუდი უნდა დაიხურო და სოფოკლეს დაუბრუნდე, მაგრამ ტკბილია პარლამენტარის ხელფასი. ძალიან ტკბილი!

ეს კი ჩვეულებრივი აფერისტობაა!

აფერისტობაა, მაგრამ მწირი გონების მიერ დაწყებული აფერისტობა, რომელიც უკვე აღარ ჭრის.

დამერწმუნეთ, რომ ვერაფრით ვერ დავიჯერებ იმ ადამიანების დასავლური ღირებულებებისადმი ერთგულებას, რომლებისთვისაც დასავლეთი მხოლოდ აღვირახსნილი და ცხოველური სექსია.

ვერ დავიჯერებ, რადგანაც დასავლური ღირებულებები, უპირველესად, სახელმწიფოს მიერ საკუთარ მოქალაქეზე ზრუნვაა. სახელმწიფოსგან სასამართლოს სრული დამოუკიდებლობაა, ბიზნესის და ნებისმიერი ადამიანის უფლებების დაცვაა.

ვერ დავიჯერებ, რადგანაც დასავლური ღირებულებები ის ფასეულობებია, რომლებზეც ნებისმიერი ჩვენგანი ოცნებობს.

სწორედ ამიტომაა, რომ დასავლური ფასეულობების პროპაგანდისტები ყოველთვის ვარდებიან იმ ორმოში, რომელსაც უაზრო განცხადებების ორმო ჰქვია და უკანასკნელ არგუმენტად „რუსული პროპაგანდის გააქტიურება“ რჩებათ.

არადა, **მახინჯი ცხოვრების პროპაგანდისტები, იმ მახინჯი ცხოვრებისა, რომლის წინააღმდეგ პარიზში მილიონიანი მარში მოეწყო და რომლის წინააღმდეგაც ბრწყინვალე ფრანგმა მწერალმა დომინიკ ვენნერმა საკუთარი სიცოცხლე სამსხვერპლოზე მიიტანა (ის 21 ნოემბერს შევიდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში და საკურთხევლის წინ მოიკლა თავი), აგრესიული ლიბერალიზმის პრინციპების სრული დაცვით თავს გვახვევენ იმ წესს, რომლისაც თავადაც არ სჯერათ. ისინი უბრალოდ შოუს დგამენ. დგამენ როგორც სხვადასხვა ტელეგადაცემაში, ისე საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.**

მაგალითისთვის ვიტყვი, რომ „მაიკო“ ასათიანის „შოუში“ ვერაფრით ვერ ჩამოყალიბდნენ ეროტიკასა და პორნოგრაფიას შორის განსხვავებაზე.

ჩერგოლეიშვილმა მაგალითისთვის გიორგი პირველის (გლახუნას) და ვარდისახარის შეხვედრა მოიყვანა და ეს უაღრესად ეროტიკული სცენა პორნოგრაფიად შემოგვასაღა.

მინდა ვთქვა, რომ ჩერგოლეიშვილმა ამ ნაწყვეტის მოყვანით აღიარა, რომ ის ვერ განასხვავებს ეროტიკას და პორნოგრაფიას. პრინციპში ვერც განასხვავებს, რადგანაც მისი და სტუდიაში მყოფი ხალხის გარკვეული ნაწილი, თავიანთი ბელადის ცხოვრების წესიდან გამომდინარე, თავად იყვნენ ყოვლად საზიზღარი პორნოგრაფიის მსხვერპლნი, ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, რადგანაც მიხეილ სააკაშვილი არა მხოლოდ თავისი ვნებების დაკმაყოფილების დროს იყო ყველაზე სასტიკი პორნოგრაფიის მოყვარული, არამედ მის მიერ მართული ეკონომიკური, ფინანსური თუ სხვა სფეროები იყო პორნოგრაფია.

კომუნისტების დროს იბეჭდებოდა „ოქროს ვირი“, „ბალთაზარ კოსა“, „ათას ერთი ღამე“ დ.ა.შ. და ახლა არ მითხრათ, რომ დღევანდელი ცენზურა (რომელიც არ არსებობს, თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი „შოუები“ გადის) უფრო ძლიერია, ვიდრე კომუნისტური.

სამწუხაროდ, ეს არ ესმით, ან არ სურთ გაიგონ „შოუს“ მონაწილეებმა, ხოლო ისინი, ვინც ცდილობენ დაუპირისპირდნენ პორნოგრაფიას, ვერ ასაბუთებენ თავიანთ მოსაზრებებს და არა მხოლოდ თავად იჩაგრებიან, არამედ საზოგადოების მოაზროვნე ნაწილსაც ძალიან წამგებიან მდგომარეობაში აყენებენ .

ზუსტად იგივე მეორდება საქართველოს პარლამენტში.

თამარ კორძაია, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება „მაიკო“ ასათიანისგან და არც მისი მხარდამჭერები — ჩერგოლეიშვილისგან, თუ ვინმე „მერსი“ სულხანიშვილისგან, ხოლო მოწინააღმდეგეები, ჟარგონის ენით რომ ვთქვა, „არაბაზარნოი ტიპები“ არიან და კამათს მუდამ აგებენ.

აგებენ და მუდამ წააგებენ, რადგანაც გადაცემა „არჩევანში“ გიორგი ვაშაძემ ირაკლი სესიაშვილს დაუმტკიცა, რომ ციხეებში მომხდარი საშინელებების ჩამდენი პირები ნაციონალებმა დააპატიმრეს და ისინი „ოცნებამ“ გაათავისუფლა!

საოცარია, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ამას დაიჯერებს.

დაიჯერებს, იმიტომ, რომ „ფრაერი“ „ბეზპრედელშიკს“ ვერასდროს ვერ მოერევა!

„ახლა გამოვცდით, როგორ ვუყვარვართ ქართველ ხალხს!“

„რესპუბლიკური პარტია გადალახავს ბარიერს და მოხვდება პარლამენტში“!

„რესპუბლიკური პარტიის რეიტინგი ნელ-ნელა დაიწყებს ზრდას“!

ეს მესიჯებიც მიდის საქართველოს მოსახლეობამდე. მიდის და დამერწმუნეთ, თავის გავლენას ნამდვილად იქონიებს, რადგანაც ოპონენტებს, ანუ ქართულ ოცნებას მხოლოდ „ფრაერები“ ჰყავს. „ფრაერები“, რომლებიც უკვე მეოთხე წელია, ნაცებს ლანძღავენ.

არადა, უკვე ამაზრზენია „პოლიტიკოსების“ „მკაცრი“ განცხადებები წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე და ამით მომავალ საპარლამენტო სიაში საკუთარი ადგილის დაბევება.

მინდა, დავარწმუნო ეს ხალხი, რომ ქართველმა ამომრჩეველმა „ეგ კბილი უკვე დიდი ხანია მოიცვალა“. ნამდვილად ვერ გეტყვით, მოასწრებენ თუ არა სექტემბრის ბოლომდე იმის გაკეთებას, რაც ოთხი წლის განმავლობაში უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ არ (თუ ვერ) გააკეთეს. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ე.წ. სტახანოველები არ არიან და ამიტომ მათი ღაღადი აუცილებლად გაიფანტება უდაბნოსა შინა.

იმ გავრცელებული ხმებიდან გამომდინარე, თუ როგორი ფორმატით დაკომპლექტდება საპარლამენტო სია, მიჩნდება განცდა, რომ მომავალ არჩევნებზე საზოგადოება იქნება ძალიან პასიური, რაც, უწინარესად, ნაციონალების და შემდეგ ოცნების წყალზე ასხამს წყალს, იმიტომ, რომ ჯერჯერობით საქართველოში არ ჩანს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ძირფესვიანად შეცვლის 1995 წლიდან დამკვიდრებულ სისტემას.

სამწუხაროდ, არ ჩანს და არჩევანის გაკეთება ისევ ბოროტებასა და უნიათობას შორის მოგვიწევს.

„ბოროტება“, ალბათ, იცით, ხოლო „უნიათობა“ მხოლოდ გუგული მაღრაძე და ზურაბ ტყემალაძე არ არიან. „უნიათობაში“ იმ მოსალოდნელ კანდიდატებსაც ვგულისხმობ, რომლებმაც ინგლისური ბესელიაზე უკეთ იციან, იცვამენ ზუსტად ისე, როგორც ბანკებში მომუშავე „კრედიტ ოფიცრები“, აზროვნებენ და მოქმედებენ ისე, როგორც...

ეჰ, ოქტომბერიც მალე მოვა!

გია გაბრიჭიძე

თქვენღა გვაკლდით ქართველებო, დაგვეკარგეთ აქედან!

ომი სამეზობლოში: რა „შუაშია“ საქართველო?

ორშაბათს დილით, როდესაც, ყველაფერთან ერთად, მსოფლიოში „საინფორმაციო კვირაც“ იწყება, სომხურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა მარდაკერტის რაიონში მიმდინარე ბრძოლების შესახებ.

ერთი დღით ადრე, აზერბაიჯანის ოფიციოზმა განაცხადა, რომ ბაქო წყვეტს საომარ მოქმედებებს ყარაბაღის გარშემო არსებულ დაპირისპირების საზზე, რაკი უკვე მიაღწია იმას, რაც ამ ეტაპზე სურდა: მცირედ, მაგრამ მაინც უკან დაახევინა სომხურ ძალებს მათ მიერ 1994 წლისთვის დაკავებული ზოგიერთი პოზიციიდან.

22 წლის წინათ, სომხეთმა, აზერბაიჯანმა და არაღიარებულმა „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკამ“ ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ცეცხლის შეწყვეტის“ თაობაზე. ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც სომხურმა ფორმირებებმა არა მხოლოდ „მთიან ყარაბაღზე“ დაამყარეს სრული კონტროლი, არამედ დაიპყრეს კიდევ 5 რაიონი ყოფილი ავტონომიის გარშემო და ბაქოსაც კი ემუქრებოდნენ – „კასპიის ზღვაში გადაგყრითო“.

რაც მთავარია, სომხებმა დაიპყრეს „ლაჩინის რაიონი“, რამაც მისცათ საშუალება, პირდაპირ დაეკავშირებინათ ყარაბაღი სომხეთისათვის. არადა, მანამდე, „სომხეთის რესპუბლიკასა“ და „მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქს“ შორის აზერბაიჯანელებით დასახლებული და ბაქოდან სრულად კონტროლიერაბდი „ლაჩინის ბარიერი“ არსებობდა, რაც კომუნიკაციურ პრობლემებს ქმნიდა.

რასაკვირველია, ყველა დაპყრობილი აზერბაიჯანული რაიონიდან, ისევე როგორც თვით მთიანი ყარაბაღიდან (ქალაქი შუში და ა.შ) ეთნიკური აზერბაიჯანელები სრულად განიდევნენ. ამ რაიონებში აზერბაიჯანიდან გამოდევნილი სომხები დასახლდნენ...

* * *

მას შემდეგ 22 წელი გავიდა. ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე სიტუაცია, ასე თუ ისე, სტაბილური იყო. მეომარი მხარეები ერთმანეთის პოზიციებს არცთუ იშვიათად ბომბავდნენ, მაგრამ თვით „გამყოფი ხაზი“ მაინც არ იძვროდა გასულ „უიქ-ენდამდე“.

ანუ, გასულ შაბათს მოხდა ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება 1994 წლის შემდეგ: აზერბაიჯანელებმა ოდნავ, მაგრამ მაინც წაიწიეს წინ ყარაბაღის დედაქალაქ სტეპანაკერტისაკენ. და მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ყარაბაღამდე მათ კიდევ დიდი „გზა“ აქვთ გასავლელი, ხოლო ბრძოლები ჯერ მხოლოდ ყარაბაღის გარშემო არსებულ „ბუფერულ რაიონებში“ მიმდინარეობს, ფსიქოლოგიურად და პოლიტიკურად ეს ძალზე სერიოზული წარმატებაა. ოღონდ, თუ ამ დღეებში შეძლებენ, შეინარჩუნონ ის სიმაღლეები და პოზიციები, რომლებიც დაიკავეს.

სომხური მხარეც კარგად აცნობიერებს ამ პოზიციური მარცხის შესაძლო (თანაც გრძელვადიან და შორსმიმავალ) სავალალო შედეგებს. ამიტომ აუცილებლად შეეცდება, „ცეცხლის შეწყვეტის ხაზი“ აღადგინოს, მინიმუმ, იმ დისპოზიციით, როგორც 2 აპრილამდე იყო. ამ მცდელობებს აზერბაიჯანმა, შესაძლოა, კიდევ უფრო სრულმასშტაბიანი შეტევით უპასუხოს და ასე შემდეგ.

მაშინ ნამდვილი ომი უკვე გარდაუვალი იქნება და პოლიტიკოსთა ნებასაც ყველაფერი აღარ დაემორჩილება:

ომის დროს ხშირად ყალიბდება ვითარება, როდესაც ბევრი რამ კი არა, ყველაფერი ე.წ. „საველე მეთაურებზე“ ხდება დამოკიდებული. ბრძოლას თავისი ლოგიკა აქვს და დედაქალაქის კაბინეტებიდან გაცემული ბრძანებით საველე მეთაურს (რომელიც მძლავრ სამხედრო შენაერთს ხელმძღვანელობს და ბრძოლით „გახურებულია“) ასე იოლად ვეღარ დააოკებ.

თუმცა, ჯერჯერობით მხარეები უფრო მეტად დივერსიულ ჯგუფებს და არტილერიას იყენებენ. ფრონტალურ შეტევებამდე საქმე არ მისულა.

აზერბაიჯანმა დაადასტურა 12 ჯარისკაცის დაკარგვა. სომხეთმა – 18 ჯარისკაცისა. მივაქციოთ ყურადღება, რომ ამ დანაკარგის შესახებ განცხადება თვით სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სრგსიანმა გააკეთა უშიშრიოების საბჭოს სხდომაზე. თითქოს რა რჯიდა? ხომ შეეძლო, ეთქვა „სულ რამდენიმე დავკარგეთო“ – ვინ გადაამოწმებდა და სად? მაგრამ სომხეთს, პირველ რიგში, სჭირდება საინფორმაციო ომის მოგება. თანამდეროვე მსოფლიოში კი, ამ ომის მოსაგებად, მსხვერპლად წარმოჩენაა საჭირო. ამიტომ, „18 სომეხ ჯარისკაცზე“ საუბრები შეზავებულია „სომეხი ბავშვის“ დაღუპვის ცნობით დაბომბვების შედეგად და ა.შ.

* * *

რა მიმართულებით განვითარდება მოვლენები და რა მოხდება? როგორც ყოველთვის, ჩვენში უპირატესად იმაზე მსჯელობენ, რა პოზიციას დაიკავებს მოსკოვი, ვაშინგტონი, ბრიუსელი, ანკარა და ა.შ.

არადა, სინამდვილეში, თუ ყარაბაღის გარშემო დიდი ომი დაიწყო, ეს ყოველივე მეორეხარისხოვანი იქნება: მთავარი (რაც დღემდე ვერ გაგვიგია, სამწუხაროდ, ქართველებს) რომელიღაც პრეს-რელიზში ჩაწერილი ფრაზა ან სხვა ქვეყნის დედაქალაქში გაკეთებული განცხადება კი არ არის, არამედ კონკრეტული სომეხი და აზერი ჯარისკაცის ვაჟკაცობა, უდრეკობა, შემართება, ბძოლის ჟინი, თავგანწირვისთვის მზადყოფნა, პროფესიონალიზმი და მის ხელთ არსებული იარაღის ხარისხი!

აი, ესაა განმსაზღვრელი და არა ვაშინგტონის ან მოსკოვის პოზიცია, როგორც ჩვენ გვეგონა!

თუ ის ჯარსიკაცი (ან ერთი, ან მეორე მხრიდან) სიტუაციას შეცვლის „ადგილზე“, ანუ On The Ground, ყველაზე დიდ და მძლავრ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებსაც კი გაუჭირდებათ ახალი რეალობის „უკან დაბრუნება“.

არც მოსკოვს, არც ვაშინგტონს არ უპყრია ხელთ „ჯადოსნური ჯოხი“, რომ მისი ერთი მოქნევით გადაწყვიტონ საკითხი. არავინ უარყოფს, რომ პრობლემის გრძელვადიანი და სრულმასშტაბიანი მოგვარება მათი მონაწილეობის გარეშე გამორიცხულია, მაგრამ „აქ და ახლა“ (HERE AND NOW) განმსაზღვრელი მაინც ისაა, სომხური და აზერბაიჯანული ბატალიონები როგორ იბრძოლებენ ერთი რომელიმე კონკრეტული სიმაღლის თუ სოფლის ასაღებად!

მოსკოვს გაუჭირდება პირდაპირ, ღიად ჩაერთოს ომში აზერბაიჯანის წინააღმდეგ: განსხვავებით 2008 წლის საქართველოს სიტუაციისგან, კონფლიქტის ზონაში არც მისი ე.წ. „მშვიდობისმყოფლები“ იმყოფებიან (რომელთა დახოცვა შეიძლება მოიმიზეზოს დემაგოგიურად) და არც მისი მოქალაქეები ცხოვრობენ. რაიმე ენერგეტიკული და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება ხომ (თანამედროვე აზერბაიჯანის წინააღმდეგ) უბრალოდ სასაცილოა.

* * *

ამავდროულად, თუ ომი გაჭიანურდა და ბაქომ „ბლიცკრიგი“ ვერ მოახერხა, მოსკოვს შეუძლია, მიაწოდოს სომხეთს ისეთი იარაღი, რომელიც სომხურ მხარეს სამხედრო უპირატესობას მიანიჭებს და აამოქმედოს თავისი ზემძლავრი დიპლომატია – „რუსეთის სომეხი საგარეო საქმეთა მინისტრის“ სერგეი ლავროვ-კალანტარიანის მესვეურობით.

„ლავროვს“ არაერთხელ გაუფრთხილებია აზერბაიჯანელი კოლეგები: ნუ ცდილობთ „სტატუს-კვოს“ შეცვლას, რადგან როგორც იმავე „აგვისტოს ომმა“ დაადასტურა, „სტატუს-კვო“ შეიძლება შეიცვალოს არა მხოლოდ უკეთესის, არამედ ბევრად უარესისკენ – ხუთის ნაცვლად რვა რაიონი არ დაკარგოთ!

თუმცა, ისევ და ისევ, ვნახოთ, როგორ იომებენ ბატალიონები ადგილზე – მაინც ესაა ყევლაფრის „თავი და თავი“, რა გენიალური დიპლომატიც არ უნდა იყოს „ბატონი სერგეი“, ან რა იარაღიც არ უნდა მიაწოდონ სომხეთს, რადგან თურქეთს არანაკლები იარაღის მიწოდება ძალუძს თავისი რეგიონული მოკავშირისათვის.

* * *

რა უნდა იღონოს, ამ შემთხვევაში, საქართველომ, რომელიც ყველა თვალსაზრისით მართლა „შუაშია“ მოქცეული მძლავრ რეგიონულ სახელმწიფოებს (თურქეთსა და რუსეთს), აგრეთვე აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის?

სინამდვილეში, უამრავი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, საკითხი ასე უნდა დაისვას: როგორ მოვახერხოთ, რომ საერთოდ არაფერი ვიღონოთ და არ მოგვიწიოს გადაწყვეტილებების მიღება, არ მოგვიწიოს რაიმე პოზიციის დაკავება, რადგან გამორიცხულია ნებისმიერი პოზიცია საქართველოსთვის ამა თუ იმ თვალსაზრისით წამგებიანი არ იყოს: აზერბაიჯანი ჩვენი მთავარი ენერგო-სპონსორია, თურქეთი – ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი და „ფანჯარა ევროპაში“. მეორე მხრივ, რუსული ჯარი თბილისიდან 35 კილომეტრში დგას, ხოლო ჯავახეთში „წიკწიკებს“ შეყოვნებული მოქმედების ნაღმი, – სომხური სეპარატიზმის სახით.

ამ სიტუაციაში საუკეთესო ტაქტიკა არა უბრალოდ ნეიტრალიტეტი, არამედ „თანაბარზომიერად გამიჯვნის“ პოზიცია იქნებოდა: სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ რუსეთი და სომხეთი მოითხოვენ საქართველოს საჰაერო კომუნიკაციების გამოყენებას და თბილისი ამაზე უარს განაცხადებს – ეს უკვე ომის გამოცხადებაა სომეხთისთვის. ბლოკადა (თუნდაც სამხედრო ბლოკადა) – ომია! მეზობელ ქრისტიანულ ქვეყანასთან ასე გადამტერება კი საეჭვოა საქართველოს გრძელვადიან ინტერესებში შედიოდეს.

მაგრამ თუ გავხსნით კომუნიკაციებს – აზერბაიჯანი და თურქეთი განრისხდებიან.

ამ ვითარებაში ყველაზე გონივრული იქნებოდა ცის ორივე მხარისთვის (თურქეთისა და რუსეთისთვის, ანუ სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის) გახსნა თუნდაც ლოგისტიკური თვალსაზრისით, – რაოდენ უხეშად და ცინიკურადაც არ უნდა ჟღერდეს აქედან ლოგიკურად გამომდინარე საშინელი თეზისი: „დაგიხოციათ ერთმანეთი!“

საქართველოს არ გააჩნია რესურსები რაიმე „შუამავლობისთვის“. მმართველი კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ კი შესთავაზა მხარეებს მოსალაპარაკებლად თბილისში ჩამოსვლა, მაგრამ პასუხი იგივე იყო, რაც 1991 წელს, როდესაც ზვიად გამსახურდიამ აზერბაიჯანის პრეზიდენტი აიაზ მუტალიბოვი და სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე ლევონ ტერ-პეტროსიანი მოიწვია და შუამავლობა შესთავაზა. თუმცა, პასუხი ორივე დედაქალაქიდან იდენტური იყო: „თქვენღა გვაკლდით, მიხედეთ თქვენს საქმეს და დაგვეკარგეთ აქედან!“

ჰოდა, თუ „დაგვეკარგეთ აქედან“, მაშინ ამგვარი პასუხის სრული ადეკვატია სწორედ ის ერთადერთი პოზიცია, რაც გამოიხატება ზემოხსენებულ ძალიან უხეშ, ცინიკურ და საშინელ გამოთქმაში.

ნიკა იმნაიშვილი

> **მოსკოვს გაუჭირდება პირდაპირ, ღიად ჩაერთოს ომში აზერბაიჯანის წინააღმდეგ, განსხვავებით 2008 წლის საქართველოს სიტუაციისგან, კონფლიქტის ზონაში არც მისი ე.წ. „მშვიდობისმყოფლები“ იმყოფებიან (რომელთა დახოცვა შეიძლება მოიმიზეზოს დემაგოგიურად) და არც მისი მოქალაქეები ცხოვრობენ.**

ამას უარყოფითი შედეგები მოყვება არა მხოლოდ ყარაბაღისთვის, არამედ მთლიანად რეგიონისთვის, საქართველოს ჩათვლით

საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი უილიამ ლაპიუ ყარაბაღში მიმდინარე პროცესებს ეხმაურება. „ვღელავთ მთიან ყარაბაღში შექმნილი ვითარების გამო. მას უარყოფითი შედეგები მოყვება, არა მხოლოდ ყარაბაღისთვის, არამედ სომხეთისთვის, აზერბაიჯანისთვის და მთლიანად რეგიონისთვის, საქართველოს ჩათვლით. ტრაგედიაა, როდესაც ხალხი იღუპება კონფლიქტის გამო. ნატო მხარს უჭერს პროცესის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. გაკეთდა ოფიციალური განცხადებებიც. ამ ეტაპზე ერთადერთი ოფიციალური ფორმატი მინსკის ჯგუფია და მის მუშაობას მოკავშირეების მხარდაჭერა აქვს,“ – განუცხადა ჟურნალისტებს უილიამ ლაპიუმ.

სომხეთი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებისთვის მოლაპარაკებაზე თანახმაა

რუსული სააგენტო „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, სომხეთი მზად არის, მხარი დაუჭიროს ცეცხლის შეწყვეტას და ყველა საჯარისო ფორმირება 1 აპრილის პოზიციებზე დააბრუნოს. განცხადება ამის შესახებ სომხეთის პრეზიდენტმა ეუთოს წევრ სახელმწიფოთა ლიდერებს შორის გამართულ შეხვედრაზე გააკეთა.

ჩვენ გვინდა მშვიდობა კავკასიაში!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი არაღიარებულ მთიან ყარაბაღში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება. უსუფაშვილი განვითარებულ მოვლენებზე შეშფოთებას გამოთქვამს და აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას სურს, ხელი შეუწყოს ყველა პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებას.

„მინდა, თქვენი სახელით შეშფოთება გამოვთქვა იმაზე, რაც ჩვენს უშუალო სამეზობლოში ხდება. სამწუხაროდ, იცით, რომ არის მსხვერპლი. ჩვენ ვართ შეშფოთებული, რადგან შეიარაღებული კონფლიქტი მიმდინარეობს საქართველოსთვის ორ მოძმე ერს შორის. ჩვენი პოზიცია იყო და არის ურყევი — ჩვენ გვინდა მშვიდობა კავკასიაში, ჩვენს ქვეყანაში, უშუალო სამეზობლოში და გვინდა, ხელი შევუწყოთ ყველა პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. ამიტომ მივესალმებით საერთაშორისო საზოგადოების აქტიურობას ამ პროცესში. გვაქვს ჩვენი მოძმე აზერბაიჯანელი, სომეხი ხალხების, ლიდერების კეთილგონიერების იმედი.იცით, რომ საქართველოს ხელისუფლება, მთავრობა, შესაბამისი უწყებები, ყოველდღიურ რეჟიმში არიან ჩართული შესაბამის პროცესებში, არიან კონტაქტში შესაბამის თანამდებობის პირებთან. ეს არის აუცილებელი საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ჩვენს სამეზობლოში მშვიდობის შესანარჩუნებლად. ამ საკითხზე ყველა ერთ პოზიციაზე ვართ და ასე იქნება მომავალშიც“, — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

თუ შესაძლებელი იქნება, უნდა ვიკისროთ მედიატორის როლი აზერბაიჯანულ და სომხურ მხარეებთან

საქართველო ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელსაც კარგი ურთიერთობა აქვს აზერბაიჯანულ და სომხურ მხარეებთან და, თუ შესაძლებელი იქნება, უნდა ვიკისროთ კიდევ მედიატორის როლი, — ამის შესახებ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა ვახტანგ კაპანაძემ განაცხადა.

„გულსატკენია და საწყენია, რომ პრობლემის გადაწყვეტა, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ მოხერდა მშვიდობიანი გზით. ეს, რა თქმა უნდა, მტკივნეული პროცესია მთელი რეგიონისთვის, არა მარტო აზერბაიჯანისა და სომხეთისთვის. ასე რომ, ჩვენ ძალიან ყურადღებით ვაკვირდებით მოვლენებს, გვაქვს ძალიან მჭიდრო ურთიერთობა და კავშირი ჩვენს კოლეგებთან. იმედი გვაქვს, რომ ცეცხლი შეწყდება და გადავალთ უფრო წყნარ, მშვიდ ფაზაში ამ კონფლიქტის მოსაწესრიგებლად“, — აღნიშნა კაპანაძემ.

რა გზით ვიაროთ — ინდონეზიისა თუ ევროპა-ამერიკის?!

შეიძლება თუ არა გეკავოს პოლიტიკური თანამდებობა, გქონდეს ხალხისგან მოცემული ნდობის კრედიტი და ამავდროულად ეწეოდე ამორალურ ცხოვრებას? არაფრად მიგაჩნდეს ზნეობისა და ეთიკის აღიარებულ ნორმები, რომელთა დაცვაც პოლიტიკოსს ცივილურ ქვეყნებში რიგით მოქალაქეებზე მეტად მოეთხოვება?!

საქართველოში ერთ-ერთ ყოფილ მინისტრზე მაკომპრომეტირებელი ინტიმური ვიდეოს გამოქვეყნების შემდეგ (რაც ერთმნიშვნელოვნად ამაზრზენი და დაუშვებელია !) საზოგადოების ერთმა ნაწილმა, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტიც შეუერთდა, დაიწყო „ტვინების გამორეცხვის“ კამპანია, რომ სექსის თავისუფლება უკლებლივ ყველა მოქალაქის უნივერსალური უფლებაა, მისი სტატუსის მიუხედავად. იყავი, თუნდაც, პოლიტიკური თანამდებობის პირი, გთხოვს სხეული და გული? ნუ გერიდება, აკეთე სექსი ვისთანაც გინდა, როგორც გინდა და სადაც გინდა! მოკლედ ჰაერში ლამის ქართული „სექსუალური რევოლუციის“ სურნელი დატრიალდა. იმ რევოლუციისა, რომელიც დასავლურმა სამყარომ გასული საუკუნის 1970-იან წლებში მოილია.

„The Guardian“-მა საქართველოში გამოქვეყნებული ინტიმური ვიდეოკადრებისადმი მიძღვნილ სტატიაში საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ ვიდეოკადრები დაოჯახებული პოლიტიკოსების „გვერდზე“ წარმოებულ სექსუალურ აქტებს ასახავდნენ.

არადა, ევროპასა და ამერიკაში, რომლებზედაც სწორებას თითქოსდა ვცდილობთ, თუმცა რამდენად სწორად, ეს ცალკე თემაა, პოლიტიკოსებმა კარგად იციან, რომ ვიდრე პოლიტიკაში არიან, თვითშეზღუდვები უნდა დაიწესონ და ზნეობის და ეთიკის სტანდარტები დაიცვან. დიახაც, ეშინიათ საზოგადოებრივი აზრის, პატივს სცემენ მას. ეს რომ არ იყოს, ისინიც ჩვეულებრივი მოქალაქეების მსგავსად საჯაროდ გამოაცხადებდნენ, რომ ჰყავთ შეყვარებული, აქვთ სექსი და საზოგადოებაც ამას მსუბუქი ირონიით მიიღებდა და გაატარებდა. ჩვენთან კი, სადაც ბევრს დასავლური ფასეულობები თავისებურად ესმის, მსგავსი განცხადება ლამის სამოქალაქო გმირობად შეირაცხა. მყისვე გაჩნდა კატეგორიული სლოგანი: „სექსი დანაშაული არ არის!“ თუმცა, სლოგანის ავტორებს ცოტა შეეშალათ. სექსის გარკვეული სახეობა, მაგალითად სექსი არასრულწლოვანებთან, ნამდვილად გადის დანაშაულთა კატეგორიაში. ისე, ავტორიტეტულმა ბრიტანულმა გაზეთმა „The Guardian“-მა საქართველოში გამოქვეყნებული ინტიმური ვიდეოკადრებისადმი მიძღვნილ სტატიაში საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ ვიდეოკადრები დაოჯახებული პოლიტიკოსების „გვერდზე“ წარმოებულ სექსუალურ აქტებს ასახავდნენ.

დასავლური საზოგადოება, საკმაოდ მკაცრ ზნეობრივ კრიტერიუმებს აწესებს პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიმართ და ბევრი მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორ ვერ ითმენს თავის რიგებში დასავლური პოლიტიკური ელიტა მორალურად დეგრადირებულ კოლეგებს. მორალურად არამდგრად პოლიტიკოსებს საკუთარი სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვისაც შეუქმნიათ სერიოზული პრობლემები. პოლიტიკური თანამდებობის პირი, მით უმეტეს მაღალი რანგის, უამრავ მნიშვნელოვან, მათ შორის, საიდუმლო ინფორმაციას ფლობს, მათი გადაწყვეტილებები და ქმედებები გავლენას ახდენს უამრავი ადამიანის ცხოვრებასა და ყოფაზე, მათ უსაფრთხოებაზე და ა.შ.

1960-იან წლებში ინგლისის თავდაცვის მინისტრმა ჯონ პროფიუმმა მხურვალე სექსი გააბა ადგილობრივ მოდელთან ქრისტინ ქილერთან, რომელიც კაგებეს აგენტი აღმოჩნდა და პროფიუმოსგან დაცინცლულ კონფიდენციალური ინფორმაციას ლონდონში რუსეთის საელჩოს სამხედრო-საზღვაო ატაშეს, სინამდვილეში კი კაგებეს ოფიცერს, აწვდიდა. პროფიუმოს სექს-თავგადასავალები ამხილეს, ის გადადგა, მაგრამ მინისტრის „თავისუფალმა სექსმა“ მის სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზარალი მოუტანა.

მორალი, პოლიტიკა, უსაფრთხოება და... სექსი

ცენტრალური საგადაზვერვო სამმართველოს დირექტორი, აშშ-ს ოთხვარსკვლავიანი გენერალი დევიდ პეტრეუსი იძულებული იყო, გადამდგარიყო მას შემდეგ, რაც გამომჟღავნდა მისი არაოფიციალური სექსუალური კავშირი მის ბიოგრაფთან, ჟურნალისტ პოლა ბროდველთან. FBI-მ დაადგინა რომ თავის სექსუალურ პარტნიორს გენერალმა საიდუმლო ინფორმაციაც გაუმჟღავნა, რის გამოც პეტრეუსს ორწლიანი პირობითი სასჯელიც შეეფარდა.

თუმცა, ისტორიას საპირისპირო მაგალითებიც ახსოვს. 60-იან წლებში საბჭოთა კავშირში ვიზიტად ჩამოსული ინდონეზიის პრეზიდენტი სუკარნო მასპინძლებისგან იქით ითხოვდა ლამაზმანებს, თანაც ყოველ ჯერზე ახალს. მის სექსუალურ ორგიებზე კაგებემ ლამის სრულმეტრაჟიანი ფილმი გადაიღო. ვიზიტის ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ სუკარნოს მისი ინტიმური ვიდეოკადრები დაუტრიალეს და გადაბირებას შეეცადნენ. როგორი იყო საბჭოთა მხარის გაოცება, როდესაც სუკარნომ მათ სთხოვა, ეჩუქებინათ მისთვის ეს კადრები ინდონეზიაში საჩვენებლად. „ჩემი ხალხი იამაყებს ჩემით,“ განუცხადა სუკარნომ. ინდონეზიის პრეზიდენტის მაგალითი შემთხვევით არ მოგვიყვანია. ჩვენი საზოგადოების ერთი მცირე ნაწილის მოსაზრებები ინტიმური ვიდეოების მორალური მხარის შესახებ, ბევრით არაფრით განსხვავდება სუკარნოს მოსაზრებებისგან.

ასე რომ, პოლიტიკური მოღვაწეების სექსუალურ თავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველოს საზოგადოებას შეუძლია, თავად აირჩიოს, რა გზით იაროს, ინდონეზიის თუ ამერიკა-ევროპის?

ზაალ ანჯაფარიძე

CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

dekonta

პრესრელიზი

საქართველოში ჩეხეთის მხარდაჭერით ხორციელდება მნიშვნელოვანი ავარიების პრევენციის პროექტი

„საქართველოში მნიშვნელოვანი ავარიების პრევენციის (მაპ) პროექტის მიზანია სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაძლიერება. პროექტი ითვალისწინებს ჩეხი ექსპერტების გამოცდილების გაზიარებას და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის დახმარების გაწევას. პროექტს წინ უძღოდა პარტნიორ ქვეყნებს შორის „ურთიერთგაგების მემორანდუმის“ ხელმოწერა.

პროექტის ფარგლებში ჩეხეთის მხარე **„ჩეხეთის განვითარების სააგენტოს“** მეშვეობით საქართველოს ხელს უწყობს საკანონმდებლო ჩარჩოს მომზადების პროცესში და ქართული ინსტიტუტების განვითარებაში, რათა შეიქმნას საჭირო წინაპირობა მაპ-ის პრობლემატიკის სისტემური გადაწყვეტისთვის **საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, ევროკავშირის ნორმებისა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის** „სამრეწველო ავარიების ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ“ (UNECE TEIA) კონვენციის შესაბამისად.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია არსებული კანონმდებლობის, საწარმოების მონაცემთა ბაზების და ამ სფეროში მონაწილე უწყებების საქმიანობების მიმოხილვა; რეკომენდაციების შემუშავება, ევროკავშირის რეგულაციების და საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციების შესაბამისად, საქართველოში არსებული სისტემის ჰარმონიზაციისათვის. კანონპროექტის შემუშავება და სამრეწველო საწარმოებში მაპ-ის საინსპექციო შემოწმების პროცედურების მომზადება.

შემუშავებულ იქნება სინჯების აღების მეთოდიკა, ქართულ მხარეს გადაეცემა სინჯების აღებისა და ანალიზისთვის საჭირო მოწყობილობები. ჩატარდება სასწავლო სესიები საკვლევი პარამეტრების შერჩევის, ნიმუშების ანალიზის და მაპ-ის მოთხოვნების შესაბამისი საინსპექციო პროცედურების შესახებ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინიტრო პროექტის პარტნიორია, რომელიც პირდაპირ მხარდაჭერას უწევს პროექტს. ჩეხეთის საელჩო საქართველოში უზრუნველყოფს პროექტის მონიტორინგსა და მხარდაჭერას.

პროექტს ხელმძღვანელობს ჩეხური ფირმა **DEKONTA, a.s.**, რომელსაც აქვს საერთაშორისო დონეზე მსგავსი პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება. პროექტის დასრულება გათვალისწინებულია 2016 წლის ნოემბერისთვის. ამ დროისათვის საქართველოს ექნება მნიშვნელოვანი ავარიების პრევენციის კანონის პროექტი, ეყოლება გარკვეულ დონეზე მომზადებული და ძირითადი აპარატურით აღჭურვილი ადამიანური რესურსები ტექნოგენური ავარიების პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის.

გაზაფხულზე თბილისის მერიასა და საკრებულოში ყინული გალღვა!..

საქართველოს მთავრობაში, თბილისის მერიაში, ეკონომიკის სამინისტროსა და სახელმწიფო მართვის სხვა სტრუქტურებში საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება და ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია მავალდებულებდა და მავალდებულებს, ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით სათანადო წინადადებებით და რეკომენდაციებით მიმემართა ქვეყნის პრეზიდენტისთვის, პრემიერ- მინისტრისთვის და თბილისის მერისთვის. არ ყოფილა შემთხვევა ამ წერილებით და პუბლიკაციებით ერთხელ მაინც მომეთხოვა მათთან მიღება ან დამეყენებინა თუნდაც ერთი საკითხი, რომელიც პირად ინტერესებს ეხებოდა.

ამის მიუხედავად, ბევრი მათგანი, ყოველგვარი რეაგირების გარეშეა დარჩენილი. ამ თვალსაზრისით, რომ იტყვიან, „ჩემპიონი“ თბილისის მერიაა, რომლისგანაც არც ერთ საკითხზე დასაბუთებული და კვალიფიციური პასუხიც კი არ მიგვიღია. სამწუხაროდ, მთავარი მიზეზი აქ უყურადღებობა და სათანადო კვალიფიკაციის უქონლობა გახლავთ.

საგაზეთო პუბლიკაციის ფორმატი არ იძლევა საშუალებას, მკითხველს გავაცნო თუნდაც ამ პრობლემების ჩამონათვალი. აქედან გამომდინარე, თუ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ან რომელიმე ტელევიზია, ე.წ. „მრგვალი მაგიდის“ პრინციპით, ორგანიზაციას გაუკეთებს ჩვენს შეხვედრას, თუნდაც დაინტერესებულ ჟურნალისტთა ჯგუფთან ერთად, სიამოვნებით მივიღებ ამ გამოწვევას და ყველა გამოთქმულ პრეტენზიას დეტალურად და სათანადო დოკუმენტებზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ გავშიფრავ...საბედნიეროდ და საიმედოდ, ამ მიმართებით იშვიათად, ამ ბოლო ხანს, მოქალაქეთა მოთხოვნისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ყინული გალღვა, რაც ოპტიმისტურად განგვაწყობს. მოვიყვან ორ კონკრეტულ მაგალითს:

1. მომავალ წელს სრულდება ლეგენდარული ზურაბ ანჯაფარიძის დაბადების 90 წელი. დარწმუნებული ვარ, რომ ამ საიუბილეო თარიღს სხვადასხვა ქვეყნები და სრულიად საქართველო ღირსეულად აღნიშნავს. ამ მიზნით, როგორც ზურაბ ანჯაფარიძის სახელის უკვდავსაყოფად გამომავალი გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელმა, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინადადებით მივმართე, რომ დედაქალაქის რომელიმე ქუჩისთვის მიენიჭებინათ დაუვიწყარი მომღერლისა და მამულიშვილის ზურაბ ანჯაფარიძის სახელი. ჩვენდა გასახარად, ამ ინიციატივას დედაქალაქის საკრებულოს ხელმძღვანელობა და მისი შესაბამისი სამსახური გამორჩეული ყურადღებით მიუდგნენ. საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ გიორგი ალიბეგაშვილის დავალებით, ძალზე ოპერატიულად, ტელეფონით დამიკავშირდა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ქალბატონი ლია ჯახველაძე და მთხოვა საკრებულოში მისვლა, რათა ერთობლივად მიგვეყვანა ეს საქმე ბოლომდე. რა თქმა უნდა, დათქმულ დროს ვეახლე, მაგრამ შესაფერისი ვარიანტის შერჩევა საკმაოდ გაგვიჭირდა. ერთ-ერთ არასამუშაო დღეს, ხელი რომ არავის შეეშალა, მე და საკრებულოს ზემოაღნიშნული კომისიის თანამშრომელმა ბატონმა მამუკა ბალიაშვილმა თითქმის ნახევარი დღე კომპიუტერთან დავყავით და როგორც იქნა, სასურველ ვარიანტს მივაგენით. არსებული წესისა და კანონის სრული დაცვით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 2015 წლის 27 ნოემბრის №466 განკარგულებით, ზურაბ ანჯაფარიძის სახელი მიანიჭა ჭავჭავაძის გამზირისა და კუს ტბის დამაკავშირებელ გზას. ვინც ბატონი ზურაბის დამოკიდებულება იცოდა კუს ტბასთან, დამეთანხმება, რომ იდეალური გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი ინიციატივის განხორციელებაში. გარკვეული ფორმალობების გამო, სადღეისოდ ამ ქუჩის დასაწყისსა და ბოლოში დამონტაჟებული არ არის სათანადო ფირნიშნები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს პრობლემაც უახლოეს დღეებში გადაწყდება.

2. საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც დედაქალაქში ეკოლოგიისა და გამწვანების აქტუალურ პრობლემებს იხილავდა, მიწვეული სტუმრის სტატუსით ვესწრებოდი. აქ გავიცანი ძალზე მომხიბლვევლი და თავაზიანი ქალბატონი ნინო სულხანიშვილი, რომელიც დედაქალაქის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურის უფროსი აღმოჩნდა. ამ შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდი და ქალბატონ ნინოს ძალიან მოკლედ გავაცანი დედაქალაქში და, კერძოდ, ვაკის პარკისა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიებზე ამ თვალსაზრისით არსებული უმძიმესი მდგომარეობა. მეორე დღესვე, მიუხედავად იმისა, რომ არასამუშაო დღე იყო, ჩვენი საუბარი გაგრძელდა ქალბატონ

ნინოს კაბინეტში, რომელსაც სამსახურის რამდენიმე თანამშრომელიც ესწრებოდა. ამის შემდეგ პირადად მას და ამ სამსახურის სპეციალისტს ვასილ ჩალაძეს ადგილზე დავათვალიერებინე მთელი ეს ტერიტორია და დამპირდნენ, რომ უახლოეს დღეებში დაიწყებდნენ მთელი ამ ტყე-პარკის მოწესრიგების გადაუდებელ სამუშაოებს.

საბედნიეროდ, მათ, მართლაც ოპერატიულად, ზუსტად დათქმულ დღეს, სერიოზული ძალების მობილიზაციით დაიწყეს შეპირებული სამუშაოები.

მინდა, მჯეროდეს, რომ ისინი ამ საშვილიშვილო საქმეს ბოლომდე მიიყვანენ და ამით აღნიშნულ ტერიტორიას ახალ სიცოცხლეს შესძენენ. ვაკის პარკის „ბილიკის მეგობრების“ სახელით, წინასწარ ვუხდი დიდ მადლობას ყველას, ვინც ამ უმნიშვნელოვანესი ინიციატივის ხორცშესხმაში საკუთარ წვლილს შეიტანს. ამასთან, მოხარული ვიქნებით, თუ დედაქალაქის მერიის ხელმძღვანელობა, მთელი ქალაქის მასშტაბით ამ პრობლემის გადაწყვეტას უპირველეს პრიორიტეტად გამოაცხადებს. ასეთ შემთხვევაში თბილისელების აბსოლუტური უმრავლესობის თანადგომა გარანტირებული იქნება.

ანზორ ბაბუხადია,
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გადაჭარბებით შესრულდა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის საშემოსავლო ნაწილი გადაჭარბებით შესრულდა.

სულ იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 2 189 მლნ ლარი, რაც პირველი კვარტლის გეგმას 40 მლნ ლარით აღემატება, ხოლო შესრულების მაჩვენებელი 101,9%-ს შეადგენს.

მინისტრის ინფორმაციით, ასევე გადაჭარბებულია ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებიც.

გადასახადების სახით, პირველ კვარტალში მიღებულმა შემოსავალმა ჯამში, 2 048 მლნ ლარი შეადგინა, რაც გეგმას 46 მლნ ლარით აღემატება, ხოლო შესრულების მაჩვენებელი 102,3%-ს შეადგენს.

მარტში საქართველოს 170 281 ტურისტი ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი აქვეყნებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს გასული თვის მდგომარეობით, კერძოდ: 2016 წლის მარტის თვე 450 875 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2015 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 16,7 %-ით მეტია. უწყების ცნობით,შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი — 170 281 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 37,8%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 24,8%); ბ) ტრანზიტი — 82 609 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 18,3%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან — 6,3%); გ) სხვა — 197 985 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 43,9%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 22,5%). რაც შეეხება იანვარ-მარტის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 1 134 436 ვიზიტი განხორციელდა, რაც 14,7 %-ით მეტია 2015 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე. 2016 წლის მარტშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ აზერბაიჯანიდან (+19%), თურქეთიდან (+6,7%), სომხეთიდან (+4,2%), რუსეთიდან (+15,7%), უკრაინიდან (+26,9%) და ირანიდან (+1065,8%) განხორციელდა.

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-მარტშიც გამოირჩნენ ლატვია, იტალია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი (შესაბამისად 48%, 27%, 23% და 13%), შუა აზიის ქვეყნებიდან — ყაზახეთი (27%) და უზბეკეთი (80%). აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან — ბელორუსია (37%) და მოლდოვა (39%), ახლო აღმოსავლეთიდან — ისრაელი (81%), ხოლო აზიის ქვეყნებიდან — არაბთა გაერთიანებული საემიროები 348%-იანი მატებით. აქვე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 10%-იანი ზრდა.

ჩინეთი მზადაა საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისთვის

პეკინში ჩინეთსა და საქართველოს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის საკითხზე საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ ორი ქვეყნის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

მხარეებმა განიხილეს ტურიზმის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. ამასთან, მხარეები შეთანხმდნენ, განაგრძონ კონსულტაციები საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1994 წ. გაფორმებული შეთანხმების ტურისტული ჯგუფების უვიზო მიმოსვლის განახლებასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ტურისტული ნაკადების ზრდას. მხარეები შეთანხმდნენ სამუშაო შეხვედრების რეგულარული ხასიათის თაობაზე და დაიგეგმა შესაბამის სამოქმედო გეგმასთან ერთად ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის უახლოეს მომავალში გაფორმება. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს მხარეს ჩინეთში ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისკენ მიმართული აქტივობების წახალისების კუთხით.

ლაგოდეხში ექვსკილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ილია დარჩიაშვილმა მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან ჯუანშერ ბურჭულაძესთან ერთად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლების დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

უწყების ინფორმაციით, 6-კილომეტრიანი გზა 4 სოფელს: ცოდნისკარს, თელას, პატარაგორს და კაბალს ერთმანეთთან და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრთან აკავშირებს. აღნიშნულ გზას რეაბილიტაცია 30 წელზე მეტია, არ ჩატარებია. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ასფალტ-ბეტონის საფარი, სანიაღვრე არხები, წყალგამტარი მილები, გზა მოინიშნება და ჩატარდება უსაფრთხოების სამუშაოები. პროექტი მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 2, 300, 000 ლარია. სამშენებლო სამუშაოებზე 60 ადამიანია დასაქმებული, რომელთა დიდი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეა.

გემოს „სატყუარა“,

ანუ გენმოდიფიცირებული, კონსერვანტებიანი პროდუქტები, რომლებიც სხვადასხვა დაავადებას, მათ შორის სიმსივნესაც იწვევენ

მეცნიერთა მტკიცებით, ადამიანებს საკვების მიღებისას ახასიათებთ გენეტიკური მახსოვრობა. ისინი ჩასახვიდან იღებენ გენეტიკურ კოდს. ის, რაც საკვებად მშობელს უყვარდა, ან ეჯავრებოდა, მის გემოვნებაშიც აისახება (ეპიგენეტიკური თვისება). ადამიანის გემოს აღქმის პრობლემებს 30 წელზე მეტია, იკვლევენ ამერიკელი მეცნიერები ფილადელფიისა და ვაშინგტონის უნივერსიტეტში. მათ ჩამოაყალიბეს ადამიანებში გემოს აღქმის 5 ჯგუფი: მწარე, ტკბილი (უმამი), ანუ გემრიელი, მჟავე და მარილიანი, როგორც დაკვირვება და ექსპერიმენტები მეტყველებენ, მწარე და მარილიანი მამაკაცებს უყვართ, ტკბილი — უმეტესად ქალებს. ცალკე გამოყოფილია ცხიმის მოყვარულები.

ადამიანს ენაზე აქვს სპოროვანი რეცეპტორები, რომლებიც ადამიანის გენეტიკასთან არის დაკავშირებული და ამდენად, გემოს აღქმა ინდივიდუალურია. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ გემოს დიფერენცირებულად აღვიქვამთ ენით. რეცეპტორები სპორის შეხებით სენსორულად ტვინს აწვდიან იმპულსს, ამ დროს ბიოქიმიური პროცესების მთელი კასკადი იშლება ადამიანის ორგანიზმში. ჩატარებული ექსპერიმენტებით ტკბილის აღქმის ნეიტრალიზაციამ გამოიწვია გამრავლების უკუჩვენებები.

ძალიან საინტერესოა და ინდივიდუალური სხვადასხვა გემოს აღქმის პრობლემების შესწავლა.უფრო მეტიც, სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებს შესაბამისი ტრადიციები და გემოვნური თვისებები ახასიათებთ. შესაბამისად, ადამიანის კუჭი საკვების გენეტიკურ კოდს აღიქვამს. ამიტომაცაა, რომ დაბადებიდან რძეს ვღებულობთ და რძის პროდუქტებისადმი მათი დამოკიდებულება ცნობილია.

თანამედროვე ადამიანები დღე-ღამეში 1,5-2 ლიტრ წყალს და 800-900გრ საკვებს იღებენ, კვების რაციონს ისე ადგენენ, რომ უპასუხებდეს ორგანიზმის ინდივიდუალობას, ითვალისწინებენ კლიმატურ გეოგრაფიულ და სხვა თვისებებს.

მაგალითად, სამხრეთი ამერიკა ცნობილია ცხარე და წიწაკიანი კერძებით და პროდუქტებით, ჩინეთსა და იაპონიაში პრიორიტეტი ბრინჯის პროდუქტებზეა, ხოლო ევროპელები ფქვილოვან ნაწარმს, რძისა და ხორცპროდუქტებს აძლევენ პრიორიტეტს.

ქართულ კვების სისტემაში შერწყმულია როგორც ბალახოვანი მცენარეები და მებოსტნეობის პროდუქტები, მწვანილი (რომელშიც შედის ისეთი აუცილებელი ნივთიერება, როგორიც ფოლიუმის მჟავაა), ისე ბოსტნეული, ხილი და კულტურული მცენარეული მემინდვრეობის კულტურები. მცენარეები ყველა საკვები ნივთიერების ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ცერცვი, ოსპი, ბარდა, მუხუდო, ლობიო, ხორბალი, ფეტვი, ქერი, ჭვავი, შვრია.

ყოველივე ეს განაპირობებს კარგად ბალანსირებულ ვეგეტარიანულ კვებას. ადამიანის კვების თავისებურებები მოხმარებული საკვების ოდენობა და სტრუქტურა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე მეტად მრავალფეროვანია კაცობრიობის რაციონი და კვების ტიპები.

მეცნიერებმა კვების მრავალფეროვნების 20 ტიპი ჩამოაყალიბეს. ჩვენი კუჭი საკვებს (ასე ვთქვათ, კოდს) აღიქვამს და მისი მონელება შეუძლია და ერგება, თუმცა დღეს მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა ე.წ. გემოს გამაძლიერებლები და საკვები არომატიზატორები, სხვადასხვა დანამატები და კონსერვანტები. ერთი სიტყვით, გემოს „სატყუარები“, რასაც დღევანდელი ბაზარი და ხშირად მომხმარებელი მოითხოვს.

შესაბამისად, სულ უფრო მეტად მომრავლდა სხვადასხვა თვალის მომჭრელი ფერის გემრიელი, ლამაზად შეფუთულ-რეკლამირებული პროდუქტები. საქართველოში უფრო შორსაც წავიდნენ — პროდექტის კვებითი ღირებულების მახასიათებლების ნაცვლად რეკლამებში პლევალირებს პროდუქციის სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებები, რაც მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის ნათელი მაგალითია.

ერთი წუთით დავფიქრდეთ: ბრაზილიური ფრინველის ხორცი, იტალიური ნამცხვარი, თუნდაც საკონდიტრო ნაწარმი და უამრავი დასახელების უცხოური წვენი რის ხარჯზე ინარჩუნებენ საკვებად ღირებულ თვისებებს? ბევრმა არ იცის, რომ თანამედროვე კვების მრეწველობას საფუძვლად უდევს ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც მიზნად ისახავს შენახვის ვადების გახანგრძლივებას, პროდუქტის სასაქონლო სახისა და საგემოვნო თვისებების გაუმჯობესებას.

ეს პროცესებია რაფინირება, კონსერვანტების, სტაბილიზატორების, ემულგატორების, საღებავების დამატება და გამოყენება.

ამიტომაც გაჩნდა ჯანმრთელობის პრობლემები, შესაბამისად, გაჩნდა სამსახურებიც, ვინც სურსათის უვნებლობას უნდა უზრუნველყოფდეს. ინერგება რეგლამენტები და ადამიანები სულ უფრო ინტერესდებიან ამ პრობლემებით. ამიტომაც მეტად უნდა გაუფრთხილდეთ სოფელში მოწეულ ნატურალურ პროდუქტებს, ჩვენს ბუნებრივ რესურსებს, წყალს, მიწას, მის სწორად დამუშავებას და გამოყენებას. საკვები პროდუქტებითა და სასმელი წყლით გადამდები დაავადებებით მსოფლიოში ყოველწლიურად 2,2 მილიონი ადამიანი იღუპება. დაგვეთანხმებით, საკმაოდ საყურადღებო ციფრებია. მეცნიერები, ვინც ამ საკითხებზე მუშაობენ, გვაფრთხილებენ, რომ საშიში დანამატია ნატრიუმის გლუკონატი (E621). მაგალითად, სოიოს საწებელში (რომელიც გენმოდიფიცირებული სოიოსგანაა) დამზადებული ან სხვადასხვა ბულიონის კუბიკებში გვხვდება მათში უამრავი დანამატი.

არსებობს შაქრის შემცვლელი დანამატი ასპარტამი (E95), რომელიც პროდუქტებზე ნუტრასვიტისა და სვიტლის ან სლასტინის სახელწოდებითაა ცნობილი. მას საკონდიტრო ნაწარმსა და უალკოჰოლო სასმელებში იყენებენ დამატკბობლებად, რასაც მეცნიერები კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნევენ. იოგურტებსა და გაზიან სასმელებში იყენებენ ტარტრაზინს (E 102), ყვითელ საღებავს, რომელიც ბავშვებზე უარყოფითად მოქმედებს. E 122 აზორუბინი (წითელი საღებავი) მოქმედებს ღვიძლზე, თირკმლებსა და კუჭ-ნაწლავზე, პატენტბლუ V იყენებენ ტარხუნის ლიმონათში. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ადამიანის კუჭი ამ დანამატებს უარყოფითად აღიქვამს, რადგან ისინი აღიზიანებენ კუჭის ლორწოს და მთელ რიგ დაავადებებს იწვევენ. ქიმიური კონსერვანტია გოგირდოვანი მჟავა, რომელსაც მეღვინეობაში იყენებენ, და სორბინის მჟავა, რაც უცხოური წარმოების პროდუქტებში გვხვდება კონსერვანტების სახით.

საყურადღებო ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ 1987 წელს აცხადებდნენ პროგრესული მეთოდებით პესტიციდებისა და სინთეზური ვიტამინების წარმოების, ამერიკული ფირმა „მონსანტოს“ შესახებ. მაშინ იქ საბჭოთა დელეგაციაც ჩავიდა პროგრესის გასაზიარებლად. დღეს ეს ფირმა მსოფლიო მაგნატია და მილიარდებს ხარჯავს თავისი პროდუქციის ტირაჟირებისთვის და ბევრ ქვეყანაშიც შევიდა. თუმცა შეიცვალა მისდამი მეცნიერთა დამოკიდებულება. ისინი უარყოფითად აფასებენ კვების მრეწველობაში გენური ინჟინერიის დანერგვას და მთელ რიგ უკუჩვენებებზე საუბრობენ. ამ ნივთიერებებით დამზადებული პროდუქტები ორგანიზმში ხელს უწყობენ აქსელირაციას და, პირიქით, ხელს უშლიან დუღილისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას. ეს ქიმიური რეაგენტები იწვევენ სხვადასხვა დაავადებას, სიმსივნურ პროცესებს.

საინტერესო ის გახლავთ, რომ ნატრიუმის გლუკონატი ნარკოტიკივით დამოკიდებულს ხდის მომხმარებელს იმ პროდუქტის მიმართ, რომელშიც ის შედის. კონსერვანტი არა მხოლოდ პროდუქტის კონსერვანტია, ის ადამიანის ორგანიზმშიც კონსერვანტად მუშაობს! ერთ საინტერესო დაკვირვებას მოგახსენებთ ბოდიშის მოხდით: ევროპაში გარდაცვლილებს ყოველ ხუთ წელიწადში სხვაგან ასაფლავებენ ხოლმე ადგილისა და მიწის პრობლემების გამო. ბოლო ხანს მიცვალებულები მუმიფიცირებული არიან და ჭიაღუა აღარ ეკარება, რადგანაც ორგანიზმი გაჟღენთილია კონსერვანტებით.

საინტერესოა ქართული მაგალითიც. თურქეთიდან შემოსული ფქვილი „ფათოღლი“, ალბათ ,ყველას ახსოვს. იგი დამზადებულია თანამედროვე ტექნოლოგიებით და საწყობში ინახებოდა ქართულ ფქვილთან ერთად. ამ ფქვილის ტომრებს თაგვი არ ეკარებოდა, ქართულ ფქვილს კი სიამოვნებით ეტანებოდა. ალბათ, იმასაც შეამჩნევდით, რომ გაყინულ და თანამედროვე წარმოების ქათამში ძვალი ძველებურად მაგარი აღარ არის და დარბილებულია.

როგორც ჩანს, მართლაც კოდირებულია გემოვნური გარემო, რასაც პირი არ აღიქვამს, მაგრამ კუჭი თავის კოდს კომპიუტერივით აღიქვამს და ზოგჯერ ვაღიზიანებთ. ეგრეთ წოდებული ფორტიფიკაციის (ჩვენში იციან აიფორტიფიკაცია, ამერიკაშიც ხორციელდება) საინტერესო ფაქტი აღინუსხა შეერთებულ შტატებში — პროგრამით რძეში შეიტანეს ვიტამინი D, რამაც ბავშვთა საკმაოდ დიდ ნაწილში კრუნჩხვები გამოიწვია, რადგანაც იმ ბავშვებში, სადაც არ იყო საჭირო D ვიტამინი, წარმოიშვა პოლივიტამინოზი (გადაჭარბება). ეს იმის მანიშნებელია, რომ ფორტიფიკაციას — საყოველთაოდ ვიტამინების შეტანას — აი, ასეთი უკუჩვენებები აქვს, რასაც კუჭმა, ორგანიზმმა, ასეთი ფორმით უპასუხა. დღეს მეცნიერები პრიორიტეტს ანიჭებენ ყოველგვარი დანამატების და არომატიზატორების, დამატკბობლებისა და ქიმიური ჩარევის გარეშე დამზადებულ პროდუქტებს. მსოფლიოშიც ნატურალური პროდუქტებისადმი ხიბლი სულ უფრო იზრდება ამიტომ ამ ფაქტებს კარგად უნდა გაეცნონ სხვადასხვა უცხოური პროგრამების ერთსულოვანი მხარდამჭერები. არ შეიძლება, ერთის ხელის მოსმით ყველა გაათანაბრო!

გაჩნდა საინტერესო მეცნიერული ინფორმაცია ტრანსცხიმების, ქართველთა კვების სისტემისა და ხასიათის საკვებდანამატების აფთიაქად ქცევის შესახებ, რაფინირებული კვების საფრთხისა და მკვლელი ვიტამინების, ნატურალური და სინთეზური საკვების შეუთავსებლობაზე, საფუარის მითსა და რეალობაზე. ყველა ეს თემა დღეს მეტად აქტუალური და საჭირბოროტოა. ამ წერილით მადლობა მინდა, გადავუხადო შესანიშნავ მეცნიერებს რამაზ გახოკიძესა და პაატა კოღუაშვილს, რომლებიც ამ საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობენ, ამიტომ შევეცადე თქვენთვის ამეხსნა პრობლემის აქტუალობა.

P. S. ჩვენს ბავშვობაში, იქ, სადაც რუსთაველის მეტროს ჩასასვლელია, იდგა სახლი, რომლის ქვეშაც ცნობილი რესტორანი „გემო“ იყო. ალბათ, ნამდვილი გემო მაშინ უფრო იყო...

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
გაზეთ „სრ“-ის ექსპერგი.

მესხური პროდუქტი ევროპაში უნდა გაიყიდოს!

მესხური ღვინო, თუთის არაყი, კარტოფილი, ვაშლი, კომბოსტო, ყველი, კალმახი — ეს იმ პროდუქტების არასრული ჩამონათვალია, რომლის ევროპულ ბაზარზე გატანაც სამცხე-ჯავახეთს შეუძლია. ადგილობრივი პროდუქციის უცხოურ ბაზრებზე დასამკვიდრებლად მთავარი პირობა მაღალი ხარისხი და უსაფრთხოების ნორმების დაცვაა.

იმის თაობაზე, მოხვდება თუ არა მესხური პროდუქტი ევროპაში, ფერმერი თამაზ კაკაჩიშვილი რადიო „თავისუფლებას“ თავის ხედვას უზიარებს.

სოფელ ანდრიაწმინდაში მცხოვრები გალინა ინასარიძე ათი წელია, მესხურ ტენილ ყველს აწარმოებს. მიაჩნია, რომ მის პროდუქტს ევროპის ბაზარზე მოხვედრის დიდი პერსპექტივა აქვს, რადგან ყველის ამ სახეობას ანალოგი არ გააჩნია.

გალინა ინასარიძისგან განსხვავებით, სოფელ სხვილისში მცხოვრები ფერმერები, რომლებსაც ძირითადად ვაშლი მოჰყავთ, ადგილობრივი პროდუქციის დასავლეთის ბაზარზე გატანის საკითხს პესიმისტურად უყურებენ. რეალიზაციის არასტაბილურ ბაზარზე ლაპარაკობენ ვალეში მცხოვრები ფერმერებიც, რომლებსაც ყოველწლიურად ტონობით კომბოსტოს გადაყრა უწევთ.

სამცხე-ჯავახეთი ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. რეგიონში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი მოქალაქეები მხარის დაახლოებით 45%-ს შეადგენენ. ასოციირების ხელშეკრულების მიხედვით, არც ქართულ და არც საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წეს-ჩვეულებებს საფრთხე არ ემუქრება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ტურისტული პოტენციალის განვითარებაა. ახალციხის საზოგადოებრივი ცენტრის თავმჯდომარე ნუგზარ თათეშვილი განმარტავს, რომ მხარე არსებულ პოტენციალს ვერ იყენებს. უსაფრთხო გარემო, სერვისი და ინფრასტრუქტურა — ეს ის სამი ძირითადი საკითხია, რომლის აუცილებლობაზეც მხარის გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე საუბრობს.

ახალციხის თემის პოპულარიზაცია და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სხვადასხვა ფაქტორით არის შესაძლებელი, თუმცა მათგან აგრარული სექტორი, ტურიზმი და იდენტობა ის საკითხებია, რომლის დაცვითა და განვითარებით ქვეყანამ ერთდროულად სარგებელიც უნდა ნახოს და ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებაც შეასრულოს.

მაია იველაშვილი,
ახალციხე.

დედამიწის ზურგზე

ევროკავშირი და თურქეთი იწყებენ არალეგალური მიგრანტების გაცვლას ლტოლვილებზე სქემით „ერთი ერთზე“

შეთანხმება, რომელშიც შედის ამ სქემის რეალიზაცია, მიღწეულ იქნა 17-18 მარტს ევროკავშირ-თურქეთის სამიტზე. გადავადება მისი მოქმედების დაწყებასთან 4 აპრილამდე დაკავშირებული იყო იმის აუცილებლობასთან, რომ მოემზადებინათ პოლიციელები და მიგრაციული სტრუქტურები მისი შესრულებისათვის.

ოფშორულ კომპანიაზე შეკითხვის შემდეგ ისლანდიის პრემიერმა ინტერვიუ შეწყვიტა

ისლანდიის მთავრობის მეთაურმა სიგმიუნდურ გიუნლეიგსონმა განაცხადა, რომ არ არის მზად უპასუხოს ასეთ შეკითხვებს და წყვეტს ინტერვიუს შვედურ კომპანია SVT-თან. „აქ რის მოწყობას აპირებთ? ეს სრულიად უადგილოა“, აღშფოთდა პრემიერ-მინისტრი.

MOSSACK FONSECA -ის თანადამფუძნებელმა ოფშორების შესახებ დოკუმენტების გაღინებას „დანაშაული“ უწოდა

„ეს არის დანაშაული, სისხლის სამართლის დანაშაული“, — განაცხადა პანამის კომპანია Mossack Fonseca -ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, რომლის არქივის მონაცემებიც საფუძვლად დაედო მასშტაბურ გამოკვლევას. მან ასევე განაცხადა, რომ კომპანიას ჯერჯერობით არ შეუძლია იმის თქმა, თუ ვისი ბრალით გავიდა კომპანიიდან დოკუმენტები.

ეკონომისტებმა ტრამპის პროგნოზები აშშ-ის მოსალოდნელი რეცესიების შესახებ „გაანადგურეს“

ამერიკელი ექსპერტების აზრით, იმისთვის, რომ მილიარდერის პროგნოზები ახდეს, საჭიროა მსოფლიოში მოხდეს ისეთი მეტად კატასტროფული მოვლენა, რომ ეკონომისტებს არ შეძლებოდათ რაიმეს გამოსწორება. კოლეგებმა პარტიიდან ტრამპის სიტყვა შეაფასეს „შეშინებული და ბოროტი კაცის სიტყვებად“.

„პანამის დოკუმენტებში“ ათობით ცნობილი მსოფლიო პოლიტიკოსი მოხვდა

ცნობილი მოღვაწეების სიაში, რომლებსაც შეეძლოთ, მონაწილეობა მიეღოთ საეჭვო ოპერაციებში ოფშორებთან დაკავშირებით, აღმოჩნდნენ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის სი ცზინპინის ოჯახი, ფეხბურთელი ლიონელ მესი და სხვები.

აზერბაიჯანი დაგეპირდა „სრულმასშტაბიან ოპერაციას“ ყარაბახის კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში

აზერბაიჯანის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ არიან კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მომხრეები და საყვედური გამოთქვეს საერთაშორისო გაერთიანების მისამართით პასიურობისათვის. ამ დროს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს მზადყოფნის შესახებ — გამოიყენონ ფრონტის ხაზზე „შეიარაღების ყველა სახეობა“, თუ სიტუაცია რეგიონში გამწვავდება.

თურქეთის სასამართლომ სუ-24-ის პილოტის სავარაუდო მკვლელი დააპატიმრა

ალპარსლან ჩელიკი და კიდევ 6 კაცი დააპატიმრეს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვასა და ფლობის ბრალდებით. მათ დაცვის ქვეშ დატოვებენ გამოძიების დროს. დანარჩენი დაკავებულები გაუშვეს. თუმცა, გამოძიება მათ მიმართ არ შეწყვეტილა. ორმა დადო ხელწერილი გაუსვლელობის შესახებ.

◎ ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს

დოულის დავლური სააკაშვილის დოუნანას აკომპანემენტით,

ანუ დოულის პოლიტიკური კარიერა შესაძლოა, სააკაშვილთან ბინძურ გარიგებებს შეეწიროს!

ევროპული საინფორმაციო სააგენტო WORLD NEWS სკანდალურ სტატიას აქვეყნებს. გთავაზობთ სტატიის თარგმანს:

„მიხეილ სააკაშვილმა საქართველოსთვის ევროლიბერალიზაცია დაბლოკა მოსყიდული ევროპის სახალხო პარტიის მეშვეობით! ესპ-ში არსებული გახმაურებული კორუფცია პარტიის ლიდერის ჯოზეფ დოულის თანამდებობას შეიწირავს!

13 მარტს ესპ-მ სპეციალური დეკლარაცია მიიღო საქართველოზე, სადაც საქართველოს მთავრობას ადანაშულებს დემოკრატიის დაუცველობაში, სასამართლო სისტემისა და მედიასივრცის შეზღუდვაში.

ესპ-ს პრეზიდენტმა ჯოზეფ დოულმა ეს შენიშვნები დაასახელა ევროპარლამენტში საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მიზეზად. ევროპის სახალხო პარტიას ყველაზე დიდი ფრაქცია ჰყავს ევროპარლამენტში და გადაწყვეტილების დაბლოკვა არ გაუჭირდებათ, ევროვიზების გაუქმებას კი საქართველოს მოსახლეობა 15 წელზე მეტია, მოუთმენლად ელოდება.

ჯოზეფ დოულმა განაცხადა, რომ დააკვირდებიან საქართველოს მთავრობის ქმედებას „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ მიმართებაში, რომლის ლიდერი საქართველოს ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია.

ევროპელებს კარგად ახსოვთ, რომ 2012 წელს მწვანეთა ფრაქციის წარმომადგენლებმა ევროპის სახალხო პარტია დაადანაშაულეს საქართველოს პრეზიდენტის - სააკაშვილისგან მსხვილი დაფინანსების მიღებაში, რომლის სანაცვლოდაც სააკაშვილის რეჟიმის ლობირებას ეწევიან ევროკავშირში.სააკაშვილმა თავისი მმართველობის პერიოდში თავი გამოიჩინა პოლიტიკური რეპრესიებით, ციხეში სვამდნენ და აწამებდნენ, ვინც კი რეჟიმის წინააღმდეგი იყო. ადამიანების წამებისა და გაუპატიურების ფაქტები არაერთგზის დააფიქსირეს საერთაშორისი ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა. ამის ამსახველი ვიდეომასალები გავრცელდა სოციალურ ქსელებში. მიუხედავად ამისა, ესპ-ის ხელმძღვანელობა სააკაშვილს დემოკრატიის შუქურას უწოდებდა და ადამიანების წამების ფაქტს მონტაჟად მიიჩნევდა. 2012 წლის შემოდგომით სააკაშვილი საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა, მასობრივი ძალადობისა და მკვლელობათა გამო სააკაშვილის მაღალჩინოსნები ციხეში აღმოჩდნენ, ხოლო მიხეილ სააკაშვილმა უკრაინას შეაფარა თავი, სადაც ვაშინგტონის მხარდაჭერით ოდესის გუბერნატორი გახდა.

29 მარტს ესპ-ს ლიდერი ჯოზეფ დოული თბილისს — საქართველოს დედაქალაქს ესტუმრა. მან ციხეებში პატიმრები, სააკაშვილის მაღალჩინოსნები მოინახულა და მათი გათავისუფლება მოითხოვა. საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას კი დაემუქრა, თუ ამას არ გააკეთებენ, ევროპარლამენტში ვიზალიბერალიზაციის საკითხს შეაჩერებს.

2016 წლის ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნებია და სააკაშვილს არ აწყობს ევროინტეგრაციით მიღებული პოლიტიკური დივიდენდები. სააკაშვილს ვიზალიბერალიზაცია თავისთვის უნდა რომ მიიწეროს და ჯოზეფ დოულს საქართველოს მთავრობის შანტაჟისა და ევროპარლამენტში საკითხის დაბლოკისთვის იყენებს.

ჩვენმა იტალიელმა მეგობრებმა, ესპ-ს ფრაქციის წევრებმა გვაცნობეს, რომ აპრილში ჯოზეფ დოული საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრს დავით კეზერაშვილს შესვდა და სახალხო პარტიის შემდგომი ფინანსირების საკითხი გადაწყვიტეს. ფრაქციის დახურულ სხდომაზე დოულმა განაცხადა, რომ OSCE საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტად, სააკაშვილის მიერ რეკომენდებულ გიგი წერეთელს წარადგენენ, ხოლო საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის საკითხს ევროპარლამენტში დაბლოკავენ, ისე რომ საერთოდ არ მოხვდეს ეს საკითხი ევროპარლამენტის დღის წესრიგში. უახლოეს პერიოდში ევროპის სახალხო პარტიის ფრაქცია ჯოზეფ დოულის კორუფციული გარიგებების და ესპ-ს სხვათა პოლიტიკურ ინტერესებში გამოყენების საკითხს განიხილავს. ჯოზეფ დოულის პოლიტიკური კარიერა შესაძლოა, სააკაშვილთან ბინძურ გარიგებებს შეეწიროს“.

ალა გრიგალაშვილი

◎ საფრთხე მართლაც რეალურია!

საქართველოს სასაზღვრო კონტროლზე აყვანილია 1286 პირი, 1014-ს აეკრძალა ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ტერორისტული თავდასხმის პოტენციური სამიზნე — სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტებისა და მათი დამხმარე შენობა-ნაგებობების პასპორტიზაცია და რისკების ანალიზი მოახდინა. პარალელურად, ხორციელდებოდა ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირში მყოფ პირთა აქტიური კონტრტერორისტული ძებნა. ასევე, ოპერატიული კონტროლი ხორციელდებოდა რადიკალური იდეოლოგიის გამავრცელებელ პირთა და ორგანიზაციების მიმართ.

სუს-სა და პარტნიორი სახელმწიფოების შესაბამის უწყებებს შორის მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრებულ ან კავშირში მყოფ პირებზე, ასევე ტრანზიტულად გადაადგილების მსურველებზე. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სასაზღვრო კონტროლზე დაყენებულია რამდენიმე ასეული პირი.

მთლიანობაში, კონტრტერორისტული ღონისძიების ფარგლებში საქართველოს სასაზღვრო კონტროლზე აყვანილია 1286 პირი, ხოლო 1014-ს აეკრძალა საქართველოში შემოსვლა. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე აღკვეთილია საქართველოს მოქალაქეთა კონფლიქტის ზონაში გამგზავრების მცდელობის 40 ფაქტი. სუს-ის ოფიციალური ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, სირიასა და ერაყში ტერორისტული მიზნებით საქართველოს 50-მდე მოქალაქე იმყოფება. თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით ე.წ. მებრძოლთა რაოდენობა 100-ზე მეტია.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ დაკომპლექტება არა მარტო საქართველოს მოქალაქეებით, არამედ მდიდარი დასავლეთის ქვეყნებიდანაც წარმატებით ხორციელდება. რადიკალიზმის საერთაშორისო ცენტრის მონაცემებით „ისლამაურ სახელმწიფოში“ დაახლოებით 4 500 ადამიანია გაერთიანებული. „მებრძოლებს“ შორის ყველაზე მეტი საფრანგეთის მოქალაქეა. კვლევის თანახმად „ისლამურ სახელმწიფოში“ საფრანგეთის 1800 მოქალაქეა; გერმანიის — 720; დიდი ბრიტანეთის — 700; ბელგიის — 400; ნიდერლანდებიდან — 250. ავსტრიიდან, დანიიდან, შვედეთიდან და ესპანეთიდან — 100-100 მოქალაქე.

ექსპერტები თანხმდებიან, რომ ტერორისტებისთვის საქართველო უფრო დერეფანია, ვიდრე სამიზნე. თუმცა, ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში 50 მებრძოლის არსებობა ქვეყნის უსაფრთხოებას სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს. „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, დეპუტატი ვიქტორ დოლიძე აცხადებს, რომ საქმე გვაქვს ძალიან დიდ საფრთხესთან.

„პარიზის ტერაქტებმა გვაჩვენა, რომ ეს ფანატიზმსა და იდეოლოგიაზე დაფუძნებული ქსელია, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, რომ ამგვარი დანაშაული ჩაიდიწოს. ნამდვილად არ არის რაღაცა ხელწამოსაკრავი ძალა და ეს უნდა ახსოვდეს ყველას. ამიტომ, ყველამ ერთიანად უნდა ვიბრძოლოთ, გავაათმაგოთ ფულის ხარჯვა უსაფრთხოებაზე, მის პრევენციაზე და სპეცსამსახურების მაქსიმალურად აღჭურვაზე, რათა შევძლოთ პრევენცია. ეს არ არის იოლი საქმე, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ვიქტორ დოლიძე.

„საქართველოს ატლანტიკური საბჭოს“ აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მუჩაიძე ამბობს, რომ მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ანალიზი, თუმცა, აუცილებელია უსაფრთხოების სამსახურმა ითანამშრომლოს ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნებთან, რომ ჰქონდეთ სრული სურათი, ადეკვატურად შეძლონ სიტუაციის გაანალიზება და საფრთხეების იდენტიფიკაცია.

„ვერ ვიტყვით, რომ საქართველო გამოკვეთილად წარმოადგენს რისკის ქვეყანას, მაგრამ არის პრობლემები და ამ პრობლემებზე თვალის დახუჭვა არ ღირს. ვიცით, რომ ძირითადად ეკონომიკური პრობლემებია მთავარი მიზეზი, რატომაც მიდიან ახალგაზრდები სირიაში, ამიტომ, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით გვქონდეს წინსვლა. თუ მთავრობა ამ პრობლემას მიაქცევს მეტ ყურადღებას, ძალიან კარგი იქნება.

თუმცა, მარტო ეკონომიკური მიმართულება არ არის ერთადერთი პრობლემა, უფრო ფართო ჭრილში უნდა შევხედოთ ამ გამოწვევას. ის, რომ 50-დან 100-მდე საქართველოს მოქალაქე იმყოფება სირიაში, ეს არის მთავარი გამოწვევა და საფრთხე საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის. ჩვენი უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა არის ოკუპირებული ტერიტორიები და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონის მზარდი სისწრაფით მიმდინარე ანექსია“, — აღნიშნა გიორგი მუჩაიძემ.

ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ დღევანდელი მასშტაბიდან გამომდინარე 50-კაციანი ჯგუფი იმდენად მცირეა, რომ მიუხედავად რუსეთის დიდი სურვილისა, ეს რაოდენობა საკმარისი არ არის, საქართველო ტერორისტულ ქვეყნად გამოაცხადოს.

მართა ლაბაძე

მთაწმინდისკენ მიმავალი გზა

ამ დღეებში მედია ჰოლდინგ „რეპორტიორის“ სტუმარი იყო „კულტურათა დიალოგი-21“-ს ხელმძღვანელი, პროფესორი ვალერი ასათიანი, რომელმაც ლადო ასათიანის 100 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით საინიციატივო ჯგუფის გულისთქმა გაახმოვანა.

ჩვენი გაზეთის რედაქცია ერთსულოვნად მხარს უჭერს ქართული ინტელიგენციის საინიციატივო ჯგუფის წინადადებას და გთავაზობთ ვ. ასათიანის გამოსვლას.

ახლოვდება ლადო ასათიანის დაბადების 100 წლისთავი, 2017 წლის 14 იანვარი... წლების განმავლობაში არაერთხელ გამოითქვა აზრი პოეტის ცხედრის დიდუბიდან მთაწმინდაზე გადასვენების შესახებ.

ამის თაობაზე ახლახან კიდევ ერთხელ ხმამაღლა ითქვა ლადოს მშობლიურ სოფელ ბარდნალაში და დაიწერა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე (იხ. თამაზ ქვლივიძის „ღია წერილი საქართველოს ინტელიგენციას“, 5 თებერვალი, 2016 წ.).

მანამდე ეს წინადადება არაერთხელ წამოაყენა და დაასაბუთა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“.

ლადო ასათიანის სახელი ნამდვილად არ საჭიროებს ზედმეტ განმარტებებს, ზედმეტ ქება-დიდებას. ყველამ კარგად იცის, რომ თავისი სიცოცხლისთვის საბედისწერო 1938-1943 წლებში, მძიმე სენით დაავადებულმა პოეტმა შექმნა ისეთი შედევრები, როგორებიცაა „ბარდნალა“ და „ნამკაშურის წისქვილები“, „მე ვეტრფი ძლიერ ტფილისის ჰავას“, „რუსთაველის პროსპექტი“, „ფიროსმანის დუქანი“, „ვაჟა-ფშაველას ნაამბობი“, „აბასთუმანი“, „ანდერძი“, „სასაფლაო“, „უცნობი პოეტის რვეულებიდან“, „ქართული ენა“, „მანანა ორბელიანის სურათზე“, „ნადირობის შემდეგ“, „გულბაათ ჭავჭავაძე“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „ბასიანის ბრძოლა“, „სალაღობო“ და მრავალი სხვ.

ლადოს თანამედროვეთა გადმოცემით, პოეტი თავიდანვე (რა თქმა უნდა, ხუმრობით), „მთაწმინდელობას ჩემულობდა“, რადგან ერთ დროს იგი ვახუშტის ქუჩაზე მეგობართან ათევდა ღამეებს, ხოლო შემდეგ, უკვე ცოლ-შვილიანი, იქვე ახლოს, უფანჯრებო ოთახში ცხოვრობდა.

1938 წელს 21 წლის ლადო ასათიანი წერდა:

„გთხოვთ, არ გაიგოთ სხვანაირი სახით,
ეს გახუმრება და ეს ბარათი,
მე მინდა, თქვენთან დავიდგა სახლი
და მთაწმინდაზე დავრჩე მარადის“.

მართალია, ლადოს ხუმრობითაც დაუწერია ბევრი რამ (გავიხსენოთ მისი შეუდარებელი ფუნაგორიები), მაგრამ მან ნამდვილად იცოდა თავისი ფასი, წინათგრძნობაც ბევრ რამეს კარნახობდა, მათ შორის, საწუთროსთან ძალიან ადრე განშორებასაც...

ლადო ასათიანის ზეცად ამაღლების შემდეგ ქართველებმა შეისისხლხორცეს მისი პოეზია, რომელმაც ნამდვილად გაუძლო დროს და სიმღერებით გადაეცა თაობებს. „ლადო ასათიანის სტრიქონს თითქმის ალმური ასდის“ **(გურამ ასათიანი).** ლადოს პოეზია განაგრძობს სიცოცხლეს ხალხში. „ასსანთლიანი ასათიანის“ (ასე უწოდებდნენ მეგობრები) პოპულარობა დღითი დღე იზრდება და ყველა თაობისთვის უძვირფასესი ხდება.

ტიციან ტაბიძისადმი მიძღვნილ ლადო ასათიანის ცნობილ ლექსში დროთა განმავლობაში თავად ლადოს სახეც გამოიძერწა:

„მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა
თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა,
ვისაც სახელი შორს გაუვარდა,
ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა!“

როგორც ყოველთვის, ამაღელვებელია მუხრან მაჭავარიანის სიტყვები: „ძნელია, ძალზე ძნელია ხალხის გული იპოვნოს ლექსმა. საამისოდ საკმარისი არაა არც საჭირბოროტო თემატიკა, არც ლექსის მხატვრული სახეებით დახუნძლვა. ხმაა მთავარი! სათქმელის შესატყვისი ხმა! მიაგნებ კი მას? — ლადომ მიაგნო.

„დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს!
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს“!

ვინ არ შეუძრავს და ვის არ შესძრავს ეს ომახიანი შეძახილი?! განა მარტო ეს?! რამდენი ასეთი!

ლადო! — დღეს შენი სხეული მიწაა საქართველოსი! სისხლი კი კვლავ მდინარებს შენი! — ვინაიდან ჭეშმარიტი პოეტის სისხლი მისსავე ლექსებში განაგრძობს მიმოღვრას, გაუმარჯოს შენს პოეზიას! გაუმარჯოს შენს სამშობლოს! — საქართველოში გაჩენის ღირსო!“

უფრო ადრე კი სიმონ ჩიქოვანი წერდა, რომ ლადო ასათიანის გულში ღრმა ფესვებზე აღმოცენებული იყო ფაქიზი პატრიოტული გრძნობა, სიყვარულის უნაზესი განცდა და მეგობრებისადმი დაუჭვებელი სიყვარული. მისი ხმა ქართულ პოეზიაში დამოუკიდებელია და ყველასგან განსხვავებული. ისიც ითქვა, რომ პოეტის სტრიქონში შემონახულია „გაღვივებული ნაკვერჩხლის მხურვალება და მოქნეული ხმლის ელდა“.

ლადო ასათიანისა და მისი უდროოდ დაღუპული მეგობარი პოეტების დიდებული პორტრეტები დაგვიტოვა ნიკა აგიაშვილმა საოცარი სიყვარულით დაწერილ წიგნში „ჭაბუკები დარჩნენ მარად“...

შემთხვევით არ უთქვამს მურმან ლებანიძეს, რომ ლადო ასათიანის სხვა არაერთ შედევრთან ერთად, „უკვდავი „სალაღობო“ ქედუხრელი ყივილი და ამაყი ორატორია ქართული სულის ძლიერებისა, რომლის ამხანაგობას აკაკის „განთიადი“ არ იუკადრისებდა“.

საუკუნეს მიტანებული, მაგრამ მარად ჭაბუკი, 26 წლის ლადო ასათიანის შემოქმედება ჰაერივით სჭირდება დღევანდელ და მომავალ საქართველოს, რომელიც თანამედროვე გლობალიზაციის თანმხლები სირთულეების პირობებში მოვალეა, შეინარჩუნოს ეროვნული თვითმყოფადობა, მომავალ თაობებში დაამკვიდროს ქართული ცნობიერება, ჭეშმარიტი პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება. ყოველივე ეს უხვადაა გამოხატული ლადო ასათიანის პოეტურ სამყაროში.

ამიტომაც იმსახურებს ლადო ასათიანი მთაწმინდის პანთეონში გადასვენებას და დიდ მამულიშვილთა გვერდით დავანებას.

ლადო ასათიანის პოეტურმა ფენომენმა, სახალხო სიყვარულმა, ამაყად გაიარა მთაწმინდისკენ მიმავალი გზა და ერთმნიშვნელოვნად დაიმსახურა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა უპირველესი სავანე — მთაწმინდის პანთეონი.

ვალერი ასათიანი

სალაღობო

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ატმის ხესავით აფეთქებული და
მოქნეული გავაზივითა.
ხომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული
თამარ დედოფლის დარბაზივითა.

„კაცის გული ისეთია,
ვით მორევი შავი ზღვისა:
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც ენატრება სხვისა!“

დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს!
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,
საქარველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

დაუკარით! ჯერ ხომ სისხლი გვიდგას ძარღვში,
ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია,
ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში
საქართველოს ცხელი გული ასვენია!

დაუკარით! და იმღერეთ ისე მაგრად,
რომ ფილტვები გვეტკინოს და დაგვებეროს!
დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად,
რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს!

დაუკარით! და იმღერეთ შადიანი,
ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი.
დაუკარით ძველებური დარდიანი,
დაუკარით არწივების ასაფრენი!

ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში,
მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ,
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!

დაუკარით! მოასწარით, თორემ ჰერი
და სიბერეც ძუ მგელივით მოგვიხტება.
დაუკარით ძველებური მოსალხენი
შავგვრემანებს შავი ჩოხა მოგვიხდება!

დაუკარით ძველებური ლოთიანი,
საათნოვა რომ მღეროდა შაითანთან,
დაუკარით! განა ყველა ლოთი არი?!
განა ყველა სიყვარულით დაიშანთა?!

დაუკარით ძველებური ლოთიანი,
თორემ დარდი ღრუბელივით გასივდება,
გაფრინდება სიყმაწვილე შფოთიანი,
წრფელი გული, ცხელი გული გაცივდება!

„ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი თუნდა ხისანი,
თვალნი ქორებულ მხედავნი,
ზედ მუხლნი შავარდნისანი“.

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ატმის ხესავით აფეთქებული და
მოქნეული გავაზივითა.
ხომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული
თამარ დედოფლის დარბაზივითა!

ლადო ასათიანი

ანიკო ვაჩნაძესთან

ლადო მეგობრებთან

◎ ძიუდო

მედლებიც, საგზურიც

სამსუნში (თურქეთი) დასრულებულ ძიუდოისტთა „დიდ პრიზზე“ ქართველმა ფალავნებმა ყველა სინჯის თითო მედალი მოიპოვეს: 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში „ოქრო“ დაიმსახურა ბექა ღვინიაშვილმა, რომელმაც, ფაქტობრივად, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის ლიცენზიაც დაიბევა: თურქეთში მოპოვებული 300 ქულით მან საერთაშორისო რეიტინგში უკვე 29-ე ადგილამდე აინაცვლა, სალიცენზიო სიაში კი 22-კაციან სასაგზურე ზონაში შევიდა. ესეც არ იყოს, ქულებით გადაუსწრო ესტერ სტამს (საქართველო) და რეგიონულ კვოტაშიც ხვდება. სამსუნში ვიცეჩემპიონი გახდა ლევან მატიაშვილი (+100). ამავე წონაში „ბრინჯაო“ ადამ ოქრუაშვილს ერგო.

ღვინიაშვილმა ფინალამდე ყველა შეხვედრა ვადამდე მოიგო – მეტოქეთა დასამარცხებლად 2-2 წუთიც არ დასჭირვებია. სტარტზე ეფექტური გდებით აჯობა რეიტინგის აზერბაიჯანელ ლიდერ ელმარ გასიმოვს, შემდეგ თურქი ენეს ტატარი, ბრიტანელი ბენჯამინ ფლეტჩერი და საუდელი მსოფლიოს პრიზიორი ივან რემარენკო დაამარცხა. ფინალში ბრაზილიელ რაფაელ ბუზაკარინთან ჭიდაობისას მან პრაგმატიზმი გამოავლინა – პაექრობის მოსაგებად იუკო და მეტოქის გაფრთხილებები იკმარა.

მატიაშვილმა პირველ წრეში იოლად დაჯაბნა თურქი ფეიაზ იაზიჩი, მესამედ მოუგო ბრაზილიელთა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორ რაფაელ სილვას – ამჯერადაც იპონით, ნახევარფინალში ყირგიზ იური კრაკოვეცსაც სუფთად სძლია, ფინალი კი ფრანგთა უძლეველ ტედი რინერთან დათმო.

ოქრუაშვილმა სამსუნში უკეთ იასპარეზა, ვიდრე – თბილისში. ქართველმა გოლიათმა ერთადერთი შეხვედრა მეოთხედფინალში წააგო ბრაზილიელ დავიდ მოურასთან, თუმცა, ორთაბრძოლას ვაზარით იგებდა. მანამდე ყაზახ იერჟან შინკეევს დააყრევინა ფარხმალი. დამამშვიდებელში ჯერ ავსტრიელი დანიელ ალერსტოფერი დაამარცხა, შემდეგ იური კრაკოვეცს აჯობა და მესამე ადგილი დაიკავა.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: ბექა ღვინიაშვილი.

◎ ჩოგბურთი

ბოლქვაძე ეგვიპტეში დარჩა

ეგვიპტურ შარმ ელ შეიხში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით იასპარეზა თბილისელმა მარიამ ბოლქვაძემ. ერთეულთა თანრიგში იგი მეხუთე ნომრად იყო განთესილი. ქართველმა ჩოგბურთელმა ზედიზედ აჯობა ვერონიკა სტოტიკას (უკრაინა, 6:3, 6:4), ვალერია პოგრებნიაკს (რუსეთი, 6:2, 6:0), მსოფლიო კლასიფიკაციაში მასზე წინ მდგომ ნასტია კოლარს (სლოვენია, 6:1, 6:4), რუს მარგარიტა სკრიაბინას (6:2, 6:1). ფინალში მარიამმა სოფია ჟუკი (რუსეთი) დაამარცხა – 6:3, 7:5 და მთავარი პრიზი დაიმსახურა.

წყვილებში ბოლქვაძეს კოლართან ერთად განთესვით მეორე ნომერი ჰქონდა. ქართულ-სლოვენიურმა დუეტმა გზიდან ჩამოიშორა ელენა-თეოდორა კადარი (რუმინეთი) და ბრენდა ნიუკი (შვედეთი) - 7:5, 7:6, ანა მარია პროკაჩი (იტალია) და ალექსანდრა ვალტერსი (ავსტრალია) – 6:0, 6:2, მელისა იფიძენი და მარგარიტა სკრიაბინა (ორივე-რუსეთი) – 6:3, 6:4. გადამწყვეტ პაექრობაში მარიამმა და ნასტიამ ოლექსანდრა კორაშვილი (უკრაინა) – მარგარიტა ლაზარევას (რუსეთი) ტანდემი დაამარცხეს და პირველი ადგილი დაიკავეს. ბოლქვაძე ეგვიპტეში დარჩა და ამ კვირას ახალ 10.000-იან ტურნირში ითამაშებს.

გივი გაგუა

◎ ჭიდაობა

„კლასიკოსთა“ ნაკვალევზე

ამას წინათ ბულგარულ რუსეში 23-წლამდელ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა სამი ოქროს (75 – გელა ბოლქვაძე, 80 – ლაშა გობაძე, 130 – იაკობ ქაჯაია), ორი ვერცხლისა (66 – თორნიკე ჯანგავაძე, 98 – კუკური კირცხალია), ერთი ბრინჯაოს (71-რამაზ ზოიძე) მედალი მოიპოვა და გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

რუსეში „კლასიკოსთა“ მსგავსად წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა – ემზარ ბედინეიშვილის გუნდმა 5 მედალი ირგუნა – თითო „ოქრო-ვერცხლი“ და 3 „ბრინჯაო“. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა გენო პეტრიაშვილი (125), რომელმაც ერთი თვის წინათ კონტინენტის პირველობა უფროსებშიც მოიგო, ირაკლი მწითური (86) მეორე ადგილს დასჯერდა, ხოლო მესამე ადგილებზე შოთა ფარტენაძე (61), დავით ბუზიაშვილი (70) და გივი მაჭარაშვილი (97) გავიდნენ. გუნდურ ჩათვლაში „ჯვაროსნებმა“ რუსების შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს.

გენო პეტრიაშვილმა მწვრთნელებისა და ქომაგების იმედები ბულგარეთშიც გაამართლა – ყველა შეხვედრა დამაჯერებლად და სოლიდური უპირატესობით მოიგო. გორელმა ტალანტმა ჯერ ფინელი იერე ტაპანი ჰეინო დაამარცხა (11:0), შემდეგ – ბელარუსი ვიტალი პისნიაკი, თანაც ორ წუთში (10:0), ნახევარფინალში თურქ იუნეს ემრე დედეს აჯობა (10:0), ფინალში კი უკრაინელ დანილო კარტავის 9:4 სძლია.

ჩემპიონობამდე ერთი მოგება დააკლდა მწითურს. წინასწარ პაექრობებში სლოვაკი მიხაელ ბოდნარი (11:0), ბულგარელი ეველინ რუსევი (7:0) და თურქი კადირ იაზიჩი (5:4) ჩამოიშორა გზიდან, თუმცა, გადამწყვეტი ორთაბრძოლა რუსეთელ (დაღესტნელ) აბდულრაშიდ საიდულაევთან დათმო (4:15).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრინჯაოს მედლები ფარტენაძეს, ბუზიაშვილსა და მაჭარაშვილს ერგოთ.

ლაშა დიდია

◎ რეკორდი

პრის 28-ე მასტერსი!

მსოფლიოს ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა კარიერაში 28-ე მასტერსის ტურნირი მოიგო, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. ნოვაკმა მაიამის მასტერსის ფინალში იაპონელი კეი ნიშიკორი 6:3, 6:3 დაამარცხა. შეხვედრა საათსა და 27 წუთს გაგრძელდა. სერბმა 9-დან 5 ბრეიკი შეასრულა.

ჯოკოვიჩმა კარიერაში 714-ე შეხვედრა მოიგო. ამ მაჩვენებლით „ნოლემ“ თავის მწვრთნელს ბორის ბეკერს (713 მოგება) გადაასწრო და მე-11 ადგილზე გადაინაცვლა.

ჯოკოვიჩმა მაიამის მასტერსის მოგებით 1 028 300 ამერიკული დოლარი გამოიმუშავა, ხოლო კეიმ – 501 815 ამერიკული დოლარი.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

იტალია. „იუვენტუსი“ – „ემპოლი“ 1:0, „ლაციო“ – „რომა“ 1:4, „უდინეზე“ – „ნაპოლი“ 3:1, „ფიორენტინა“ – „სამპდორია“ 1:1, „ატალანტა“ – „მილანი“ 2:1, „ინტერი“ – „ტორინო“ 1:2.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „რეალი“ 1:2, „ატლეტიკო“ – „ბეტისი“ 4:1, „სევილია“ – „სოსიედადი“ 1:2, „სელტა“ – „დეპორტივო“ 1:1, „ეიბარი“ – „ვილიარეალი“ 1:2, „ბილბაო“ – „გრანადა“ 1:1.

ინგლისი. „ლესტერი“ – „საუთჰემპტონი“ 1:0, „ლივერპული“ – „ტოტენჰემი“ 1:1, „ასტონ ვილა“ – „ჩელსი“ 0:4, „არსენალი“ – „უოტფორდი“ 4:0, „ბორნმუთი“ – „სიტი“ 0:4.

გერმანია. „ბაიერნი“ – „აინტრახტი“ 1:0, „ბორუსია“ – „ვერდერი“ 3:2, „გლადბახი“ – „ჰერტა“ 5:0, „ლევერკუზენი“ – „ვოლფსბურგი“ 3:0, „ინგოლშტადტი“ – „შალკე“ 3:0.

საფრანგეთი. „პარი სენ-ჟერმენი“ – „ნიცა“ 4:1, „მონაკო“ – „ბორდო“ 2:3, „ლორიენი“ – „ლიონი“ 1:3.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

დანიელა, ხამესი და კოტრიალი

საქართველოში ის დრო დადგა, როდესაც სანამ სექსსა და თავდავიწყებას მიეცემოდე, ჯერ ოთახის კედლებს უნდა მოავლო თვალი, მავან მოთვალთვალეებს მიესალმო, მდაბლად თავი დაუკრა, ტანსაცმელი მორცხვად შემოიძარცვო და მხოლოდ ამის შემდეგღა იმოქმედო სიტუაციისდა შესაბამისად.

ხამეს როდრიგესის გადარეული ცოლი დანიელა ოსპინა, როგორც ჩანს, საერთოდ არაა გარკვეული ქართულ რეალობაში, რადგან იძახის, ქმართან გაშორებას არ ვაპირებ, ხამესთან ძველებურად დიდი და ქარიშხლიანი სიყვარული მაკავშირებს და ვისაც ეს არა გჯერათ, ჩვენს საძინებელში ვიდეოკამერას დავაყენებ და ნახავთ იქ რა დიადი ამბებიც მოხდებაო.

დიად ამბებზე რა გითხრათ, მაგრამ ისე დანიელა ოსპინას შემხედვარე კაცი ნამდვილად „მოიწონებდა“ თავს იმ საძაგელ მოთვალთვალეთა წინაშე. მე თქვენ გეტყვით და გაუკვირდებათ – დანიელა ოსპინას რატომ აბურთავებო. რაც მაგათ ბურთაობა და კოტრიალი უნახავთ, იმ ჩანჩურა ხამესს ვერც კი დაესიზმრება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კალათბურთი

მარკოიშვილის 13 ქულა და მე-15 გამარჯვება

მანუჩარ მარკოიშვილის „დარუშაფაკამ“ თურქეთის საკალათბურთო ჩემპიონატში მორიგი გამარჯვება იზეიმა. სტამბოლელები „ბუიუჩეკმეჩეს“ ესტუმრნენ და დამაჯერებლად ჩატარებული ბოლო მეოთხედის (22:6) ხარჯზე 70:63 იმარჯვეს.

ქართველი მცველი სტუმართა რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მარკოიშვილმა მოედანზე გატარებულ 22:20 წუთში 13 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა.

მანუჩარმა 4-დან 3 სამქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, 1 ორქულიანი ააცილა, ბურთი ერთხელ დაკარგა და 2 პერსონალური შენიშვნა მიიღო.

ქართველი კალათბურთელის დარად 13-13 ქულა მიითვალეს ამერიკელმა სკოტი ვილბეკინმა და თურქმა სემიჰ ერდენმა.

„დარუშაფაკამ“ 15 მოგება და 8 მარცხი მოაგროვა და 16-გუნდიან ლიგაში მე-5 ადგილზე იმყოფება. „მანუს“ კლუბი მომდევნო შეხვედრას 10 აპრილს შინ ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ „ქარშიაქასთან“ გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

ტაქსების რეგულაციას წინ ვერაფერი დაუდგება

როცა მომსახურებისთვის თავად ლებულობ ფულს, რაღაც გადასახადი თავადაც უნდა გადაიხადო

ტაქსების რეგულაციის თემაზე მსჯელობა სულ უფრო ხშირად მიმდინარეობს. როგორც ჩანს, ამ საკითხის მოგვარების დრო უკვე ძალიან მოახლოვდა. თბილისის მერის განცხადებით, ის დისკომფორტი, რაც მოქალაქეებს აქვთ ტაქსებთან დაკავშირებით, ეტაპობრივად უნდა აღმოიფხვრას. მგზავრობა გახდეს უსაფრთხო და კომფორტული, თუმცა საკითხი ისე უნდა მოწესრიგდეს, რომ უარყოფითად არ აისახოს ამ დარგში დასაქმებულებზე.

თბილისის მერის მოადგილის **ირაკლი ლექვინაძის** თქმით, სპეციალისტებთან ერთობლივი მუშაობით შემუშავდა დოკუმენტი, რომელიც მსჯელობის და განხილვის შემდეგ, ეტაპობრივად საბოლოო სახეს მიიღებს.

ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარე **დავით მესხიშვილი** თვლის, რომ დედაქალაქის მთავარი პრობლემა ტაქსები არ არის და ამ მხრივ პრიორიტეტები არასწორადაა დალაგებული. მისი აზრით, აუცილებელია ჯერ ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შემდეგ კი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაზრდა და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ტაქსების რეგულაციებზე საუბარი.

„რეგულაციები ალბათ გულისხმობს იმას, რომ ტექნიკურად გამართული ტაქსები იქნება და დიდი ალბათობით შემოიღებენ რაიმე მოსაკრებელსაც, ან დაუბეგრავენ შემოსავალს. შესაბამისად მგზავრობა გაძვირდება, ტაქსების რაოდენობა კი შემცირდება მაშინ, როცა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მოთხოვნა გაიზრდება“, — აღნიშნა მესხიშვილმა.

დედაქალაქის საკრებულოშიც სატრანსპორტი ცვლილებებს ემხრობიან. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე **გოჩა ბაბუნაშვილი** ამბობს, რომ, უწინარესად, ალბათ, უნდა აღირიცხოს რამდენი ტაქსი დადის თბილისში, შემდეგ კი მათი ტექნიკური გამართულობა შემოწმდეს.

„საუბარია, რომ 40 ათასი ტაქსია, თუმცა, ფაქტია, ეს დათვლილი არ არის. ავტომანქანა უნდა იყოს ტექნიკურად გამართული, რომ მას შეეძლოს მგზავრის გადაყვანა. დღეს მოქმედი ტაქსების 30-40% ისეთია, რომ ადამიანი ვერ ჩაჯდება, რეგულაციები საჭიროა, რომ გადაადგილება სახიფათო არ იყოს.

დადგება დრო, როცა ამ ადამიანებმა, მძღოლებმა რაღაც გადასახადი უნდა გადაიხადონ. თვითონ რომ მომსახურებისთვის საფასურს იღებენ, რაღაც გადასახადი თავადაც უნდა გადაიხადონ“, — განაცხადა გოჩა ბაბუნაშვილმა.

ბექა დანელია

აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის პათოლოგანატომიური ლაბორატორიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მამუკა ფეიქრიშვილს მამის

ესტატე (გოგია) ფეიქრიშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ პროფესორ რეზო სტურუას ძმისშვილის

ირაკლი სტურუას

გარდაცვალების გამო.

ანზორ, გურამ აბშილავები ოჯახებით იუწყებიან

ირაკლი სტურუას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

---

11 წლის წინათ ჩადენილი მკვლელობა გახსნილია

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გახსნა თბილისში, 2005 წლის 3 დეკემბერს მომხდარი ირაკლი გურაბანიძის განზრახ მკვლელობის ფაქტი. დაკავებულია დანაშაულში ბრალდებული გიორგი შალამბერიძე.

პროკურატურის ცნობით, ირაკლი გურაბანიძის განზრახ მკვლელობის ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შს მთავარ სამმართველოში გამოძიება 2005 წელს დაიწყო, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობა ხალხმრავალ ადგილას მოხდა, სამართალდამცავების მიერ დანაშაული ცხელ კვალზე ვერ იქნა გახსნილი. საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება 2015 წლის მარტში განაახლა. საქმეზე დაიწყო ინტენსიური გამოძიება. სრულად იქნა აღდგენილი 11 წლის წინათ ჩადენილი მკვლელობის გარემოებები.

2005 წლის 3 დეკემბერს, დაახლოებით 21:30 საათზე, თბილისში, პეკინის გამზირზე მდებარე №17 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას გიორგი შალამბერიძემ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ირაკლი გურაბანიძეს ყელის არეში მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო ჭრილობა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ირაკლი გურაბანიძე გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, სადაც მიუხედავად გაწეული სამედიცინო დახმარებისა, მიღებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა.

გიორგი შალამბერიძე 2016 წლის 1 აპრილს სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავებული იქნა ბრალდებულის სახით.

დამნაშავეს შვიდიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის.

22 წლის ბიჭს 4 ტყვია დაახალეს!

გლდანში გუშინ გამთენიისას მოკლულ 22 წლის ბიჭს 4 ტყვია აქვს ნასროლი, აქედან 2 ტყვია თავში მოხვდა და ორი — მუცლის არეში.

გლდანი-ნაძალადევის პოლიციაში დილიდან მიმდინარეობდა გარდაცვლილის მეგობრების დაკითხვა.

როგორც მოკლულის მეგობარი ბექა ქონიაშვილი ამბობს, შემთხვევამდე მეგობრები მასთან სახლში იყვნენ შეკრებილები, მათ შორის იყო მოკლულიც.

„სამი-ოთხი საათისთვის ყველა დავიშალეთ. დაახლოებით 10 ადამიანი ვიყავით და დილით, დედაჩემი მაღვიძებს, რომ პოლიცია მოვიდა და გიძახებენო. მოვედი პოლიციის განყოფილებაში და მითხრეს, რომ ჩემი ძმაკაცი მოკლეს. როგორც პოლიციაში მითხრეს, ჩემს ქუჩაზე, ჩემი სახლიდან რამდენიმე მეტრში სროლა ატყდა. თავში აქვს რამდენიმე ტყვია მოხვედრილი, მეორე კი მძიმედ არის დაჭრილი და ამ წუთებში უტარდება ოპერაცია“, — ამბობს ბექა ქონიაშვილი.

უკანონოდ 10 კილოგრამზე მეტი ოქრო შემოჰქონდათ

„სადახლო-საავტომობილო“ საბაჟო გამშვებ პუნქტზე ეჭვის საფუძველზე დათვალიერების მიზნით, მებაჟე ოფიცრებმა შეაჩერეს სომხეთის მხრიდან სომხეთის რესპუბლიკის პასპორტით შემოსული ორმაგი მოქალაქე (მეორე მოქალაქეობა თურქეთის რესპუბლიკის) მ.ა.. მგზავრის კუთვნილი ბარგის დათვალიერების შემდეგ, მებაჟეებმა გამოიყენეს სხეულის სკანერი და მისი მეშვეობით დაათვალიერეს აღნიშნული პიროვნება. მგზავრს აღმოაჩნდა წელზე შემოკრული მეტალის ნივთები. ამის შემდეგ განხორციელდა მგზავრის ფიზიკური დათვალიერება. აღმოჩნდა, რომ მას წელზე შემოკრული ჰქონდა სპეციალური ქამარი სამალავებით, რომელშიც მოთავსებული იყო 11 ცალი არადეკლარირებული ოქროს ზოდი, საერთო წონით 10500,79 გრამი. საქონლის საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 953456,99 ლარი.

განცხადება

2016 წლის 25 მაისს 12 სთ-ზე, ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №73), ხოლო 16 სთ-ზე, გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: მე-6 ქუჩა) გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მშენებლობის“ პროექტის (მე-2 მონაკვეთი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვები.

პროექტის მიზანია, რომ ჩამოყალიბდეს ეფექტური, ხელმისაწვდომი და ეკოლოგიურად მდგრადი სატრანსპორტო სისტემა, რომელიც იქნება ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთის მარშრუტის შემადგენელი ნაწილი.

პროექტის ძირითადი ამოცანაა რუსთავისა და თბილისის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება. მასში გათვალისწინებულია ისეთი ღონისძიებები და ინფრასტრუქტურა, როგორიცაა ესტაკადები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ხიდები, სავალი ნაწილის გაფართოება, ავტობუსის გაჩერებები, საყრდენი კედელი, საფეხმავლო ხიდები და სხვა, რაც უზრუნველყოფს თბილისსა და რუსთავს შორის ავტობუსების სწრაფ, უსაფრთხო და სანდო მიმოსვლას და სათანადო კავშირს. მდგრადი ურბანული განვითარების ინვესტირების პროგრამა შემუშავებული იქნა მთავრობის მიერ ქალაქებში ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემების, მათ შორის, თბილისსა და რუსთავს შორის ტრანსპორტის ინტენსიური ნაკადით გამოწვეული შეფერხებების მოგვარების მიზნით.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისი — ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150. ტელ: (995 32) 2437001/02/03/04

გზშ-ს ანგარიშის ელექტრონული ვერსია განთავსებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mdf.org.ge

დაინტერესებულმა პირებმა წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეუძლიათ წარადგინონ ქვემოთ მითითებული პირების ელექტრონული ფოსტის მისამართებზე, განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

- ნინო ნადაშვილი E-mail: nnadashvili@mdf.org.ge ;
- მედგარ ჭელიძე E-mail: medgarcorresp@yahoo.com

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87

ლევან ჩაჩუა სააპელაციო სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო

ზურაბ ჟვანიას საქმის ექსპერტი ლევან ჩაჩუა სააპელაციო სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო. ჩაჩუას პროკურატურა სამსახურებრივ გულგრილობაში ადანაშაულებდა. მათი მტკიცებით, ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის ცხედრების ექსპერტიზა არაჯეროვნად ჩაატარა. ბრალდების მტკიცებულებები ორივე ინსტანციამ არასაკმარისად მიიჩნია. პროკურატურა სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებულ განაჩენს ელოდება, რომელსაც უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს.

ქართველმა სამხედრომ თავი ჩამოიხრჩო

თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ რიგითი ვლადიმერ მაისურაძე გუშინ ჩამომხრჩვალი მეზობლის სახლში აღმოაჩინეს. უწყების ინფორმაციით, მომხდარს ხაშურის რაიონული პოლიცია იძიებს.

„I კლასის რიგითი ვლადიმერ დურმიშხანის ძე მაისურაძე, დაბადებული 10.04.1995, მცხოვრები ხაშურის რაიონის სოფელ ალში. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ირიცხებოდა 2014 წლის 16 მაისიდან. მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის V ქვეითი ბრიგადის დაზვერვის ასეულში. ამ დღეებში ის სამსახურიდან დათხოვნილი იყო. კვირას იგი მეზობლის საბძელში აღმოაჩინეს ჩამოხრჩობილი. საქმეს იძიებს ხაშურის რაიონული პოლიცია“, — ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში.

◎ კაკალ გულში

ყარაბაღის ომიც ბიძინას დაუწყია!..

● დიანა ტრაპაიძესთან მიწვეულმა პოლიტიკოსებმა კოალიციაში გაერთიანების ერთადერთ მიზეზად დაასახელეს ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა.

არცერთს არ უთქვამს მეორე, უფრო მთავარი მიზეზი – ფული!

● სამი მეგა შოუა საქართველოში:

1. მღერიან ვარსკვლავები;
2. ცეკვავენ ვარსკვლავები;
3. ჟიმაობენ „ვარსკვლავები“.

● ფსიქიატრიული კლინიკები აშენდებაო? ნეტა რომელმა გიჟმა მოიფიქრა ეს?

● „ახლა გამოვცდით, როგორ ვუყვარვართ ქართველ ხალხს!“

„რესპუბლიკური პარტია გადალახავს ბარიერს და მოხვდება პარლამენტში“!

„რესპუბლიკური პარტიის რეიტინგი ნელ-ნელა დაიწყებს ზრდას“!

ესენი ლევან ბერძენიშვილმა თქვა!

ამას მგონი ნათელაშვილის ჩანაცვლება უნდა.

● საკაკაშვილმა გააკეთა კომენტარი ყარაბაღის თემაზე. პუტინის პროვოცირებით გამწვავდა ვითარებაო, ამით რუსეთი რამდენიმე სტრატეგიულ მიზანს მიაღწევს, დააწესებს კონტროლს იმ ტერიტორიაზე, სადაც აზერბაიჯანის ნავთობ და გაზსადენები გადის და ევროპა ენერგორესურსების ალტერნატიულ წყაროს დაკარგავსო. იპრუტუნა, იპრუტუნა და ბოლოს დააბრეხვა, ამ ყველაფრის მთავარი მიზანი მოსალოდნელი საპარლამენტო არჩევნების ფონზე, სადაც ივანიშვილის პრორუსული ძალა აგებს, საქართველოს რთულ ვითარებაში ჩაყენებაა!

ყარაბაღის ომიც ბიძინას დაუწყია, უყურე, შენ!

● ამ შფოთის მთესავ ესშენგეხებელებს, რაღაცნაირად იზოლაცია რომ გაუკეთონ საზოგადოებიდან, ჯოზეფ ბარაბანს (დოლის) ეწყინება ნეტავ?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ძარცვები, ძარცვები...

ბანკების, მუზეუმების თუ კერძო კოლექციონერების გაძარცვების შესახებ ამბები, ფაქტობრივად, ყოველთვე გვესმის. მძარცველებს ცალკე ყველა ქვეყანაში საკუთარი პოლიცია, ცალკე ინტერპოლი ეძებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, კანონიერ მფლობელებს გატაცებული ხელოვნების ნიმუშთა მხოლოდ 5 და ფულის 20 პროცენტი(!) უბრუნდება. რამდენიმე გახმაურებული ძარცვის შესახებ წინამდებარე პუბლიკაციაში მოგითხრობთ.

500 მილიონი დოლარია 1990 წელს ბოსტონის (აშშ) იზაბელა სტიუარტ გარდერის მუზეუმიდან პოლიციისფორმიანი მძარცველების მიერ გატაცებულ ხელოვნების ნიმუშთა მთლიანი ფასი. ყაჩაღებმა მცველი მოატყუეს, მუზეუმში შეაღწიეს, ვიდეოკამერები გამორთეს, ჩარჩოებიდან რემბრანდტის, დეგასა და მანეს ნახატები ამოჭრეს და იქაურობას მშვიდობით გასცილდნენ. 23 წლის გამოძიების მანძილზე, გამოძიებათა ფედერალურმა ბიურომ სამი ეჭვმიტანილის ვინაობა დაადგინა, მაგრამ გატაცებული ფასეულობები ნაპოვნი დღემდე არ არის.

53 მილიონი გირვანქა სტერლინგი (დღევანდელი კურსით 80 მილიონი დოლარი) გაიტაცეს ინგლისის საინკასატორო საცავიდან ბოროტმოქმედებმა 2006 წელს. მაგრამ ფულის უმეტესი ნაწილი (154 მილიონი გირვანქა სტერლინგი) სატვირთო მანქანის ძარაში, უბრალოდ... არ დაეტია. ამ საქმის გამოძიება უპრეცედენტოდ ძვირი – 6 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა, თუმცა მხოლოდ 21 მილიონი გირვანქა სტერლინგს მიაგნეს.

ბოლო 30 წლის მანძილზე ორჯერ გახდა მძარცველთა ნადავლი **ედვარდ მუნკის ნახატი „ყვირილი“.** მხატვარმა ამ ტილოს რამდენიმე ვერსია შექმნა, რომელთაგან ერთ-ერთი აუქციონზე 119 მილიონ დოლარად გაიყიდა. 1994 წელს სურათის ერთ-ერთი ვერსია ოსლოს ეროვნული გალერეიდან ლილიჰამერში თეთრი ოლიმპიადის გახსნის დღეს მოიპარეს, თუმცა სამი თვის შემდეგ პოლიციამ მისი უკან დაბრუნება შეძლო. ათი წლის შემდეგ ოსლოში მხატვრის მუზეუმიდან „ყვირილი“ მუნკის მეორე ნამუშევართან – „მადონასთან“ ერთად მოიპარეს, თუმცა მათი დაბრუნებაც ორი წლის შემდეგ მოხერხდა.

80 მეტრია განათებითა და ვენტილაციით აღჭურვილი გვირაბის სიგრძე, რომელიც ბოროტმოქმედებმა სამ თვეში გათხარეს 2005 წელს, რათა ბრაზილიის ცენტრალური ბანკის განყოფილებაში შეელწიათ. მათ 164,7 მილიონი რეალი (დღევანდელი კურსით 87,4 მილიონი დოლარი) გაიტაცეს, თუმცა პოლიციამ მხოლოდ 9 მილიონი რეალის დაბრუნება შეძლო. საქმეში 100 კაცი გადიოდა(!), თუმცა, ბრალდება 36-ს წაუყენეს. ქურდობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ლუის ფერნანდუ რებერუს დაკავება პოლიციამ ვერ შეძლო. იგი სხვა ბოროტმოქმედებმა, რომლებსაც ბანკის გაძარცვასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ, გამოსასყიდის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს და შემდეგ მოკლეს.

◎ ინფორმაცია თემაში

87,4:80 – 1,093 დოლარი, ანუ მილიონი დოლარი ერთ მეტრში – ასეთი აღმოჩნდა გათხრილი გვირაბის ერთი მეტრის ღირებულება. შედარებისთვის: ჩქაროსნული გზატკეცილის ერთი კილომეტრი დაახლოებით 800 ათასი დოლარი ჯდება.

მეტროპოლიტენის თანამშრომლები მეტროს პარალიზებით იმუქრებიან

თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლები გაფიცვით იმუქრებიან და აცხადებენ, რომ თუ მათი მოთხოვნები არ შესრულდება, 8 აპრილს დილით შესაძლოა, თბილისის მეტროპოლიტენმა აღარ იმუშაოს. თბილისის მეტროპოლიტენის მემანქანეები და სხვადასხვა პოზიციაზე მომუშავე პირები გუშინ მეტროსადგურ „დიდუბის“ შესასვლელთან შეიკრიბნენ და აქცია-ბრიფინგი გამართეს, სადაც მათი მთავარი მოთხოვნები გაახმიანეს. ანაზღაურება წელთა ნამსახურების მიხედვით, ხელფასის მომატება და ღამის საათების განსხვავებული ტარიფით ანაზღაურება – ეს არის თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლების სამი მოთხოვნა, რისთვისაც ადმინისტრაციას სამდღიან ვადას აძლევენ.

რედაქცია
293-37-87

◎ ინფცხალი ანეკდოტები

– მამი, მთვარე უფრო ახლოსაა თუ თელავი?
– ნუ გამიწყალე საქმე. მიდი ფანჯარასთან. მთვარეს ხედავ?
– ვხედავ.
– თელავს ხედავ?

* * *

– მიხო, გაიღვიძე, კაცო!
– რა მოხდა, ქალო? შუაღამეა!
– თავის ტკივილმა გამიარა.

* * *

ცოლ-ქმარი საშინელებათა ფილმს უყურებს. უცებ ეკრანზე საოცარი სიმახინჯე გამოჩნდება.
– ვაი, დედა! – წამოიყვირებს ცოლი.
– იცანი, არა?

* * *

როდესაც ჩვენ, კაცები, გარე-გარე დავძვრებით ქალებთან, ამით, უწინარესად, საკუთარ თავს ვაყენებთ შეურაცხყოფას, რადგან ვცხოვრობთ ქმრის მოღალატე ქალთან.

ქართული ენის შესწავლის უფასო კურსები

ქართული ენის შესწავლის კურსები ეთნიკური უმცირესობებისათვის გრძელდება. ამჯერად ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობა სადახლოსა და ფოკას მოსახლეობას ექნება. პროექტი იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. მასში ასევე ჩართულია იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

ქართული ენის შეწავლის სურვილი სადასახლოსა და ფოკას 200-მდე მცხოვრებმა გამოთქვა. მათ შორის არიან როგორც სკოლის მოსწავლეები, ისე უფროსები. სასწავლო პროგრამა აპრილის ბოლომდე გაგრძელდება და ის 24 აკადემიურ საათს მოიცავს.

ქართული ენის შესწავლის კურსები ეთნიკური უმცირესობებისათვის იუსტიციის მინისტრის ინიციატივით მოქმედებს.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.315; ევრო - 2.641;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.311;
100 რუბლი - 3.451; თურქული ლირა - 0.821;
აზერბაიჯანული მანათი - 1.501;
1000 სომხური დრამი - 5.818

ამინდი 5 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1,	დღე +18
მთიანი რაიონები -	ღამე -10,	დღე +8
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +2,	დღე +18
მთიანი რაიონები -	ღამე -3,	დღე +14
თბილისი:	ღამე +3,	დღე +16

ჩვენი მისამართია:
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE